


ପ୍ରକାଶକ

୧ ୩ ୦ ୨ ୬ ୦



ବ୍ୟୋମିତ୍ୱାଳୀ ମେନ୍ଦ୍ର

№ XII

ପ୍ରକାଶକ ମେନ୍ଦ୍ର, 1899.



ପ୍ରକାଶକ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପାଠୀ, ଶ୍ରୀ କୃଷ୍ଣଚନ୍ଦ୍ର,

1900

ପିଣ୍ଡବୀଳି ହାନ୍ତରତ୍ୟାଙ୍କଳୀବା.

-33-

I	რჩევა (ლექსი). აკაგის	1— 2
II	ავადმყოფს გვისანს (ლექსი) სიღვანისა .	3— 4
III	პარგადმყოფს გვისანს (ლექსი) აკაგისა .	5— 6
IV	თავგანვირული ეპიზი ღ. კაშკაშიძისა .	7— 22
V	საკართველოს დედა, ჩალაში ტცი- ლისი (დასასრული) მ. ჭანაშვილისა .	23— 50
VI	აშირანი (დრამატიული პოემა) სევასტია განებილაძისა	51— 98
VII	ისტორია ქართული სრაჩისა და მიმღებობის გენდვისა ზ. ჭ. —ს.	99—151

ମୀଳକ୍ଷେ ହାନ୍ଦୁତ୍ତୁରିଲ୍ଲାପା.

I	სალხური ლექსიზი, შეკრებილი სოსიგო	
	შერვენილაძის-შივერ 152—154
II	ანდაზები (შისივე) 155—156
III	ზღა (შისივე) 156

۸۳۸۳۰۶

0 3 0 5 6 0



წელიწადი მეორე

No. XII

ଭାବୀମନ୍ଦିର, 1899



৬৩০/৩০৬০

ԱՐԴՅՈՒՆ թի. 03. Եղբայրություն. Տիտ. Եվ. Իվ. Խելացի.

1900



Дозволено Цензурою. Тифлисъ, 12-го Января 1900 г.

პირველი განუთვილება.

83.

I	აჩვენა (ლექსი). აკადისა	1 — 2
II	ავაღმოცხ მგოსანს (ლექსი) სილოვანისა	3 — 4
III	კარგაღმოცხ მგოსანს (ლექსი) აკადისა	5 — 6
IV	თავგაცირული მატია დ. კამპაშიძისა .	7 — 22
V	საკართველოს დედა - ქალაქი ტბილისი (დასასრული) მ. ჯანაშვილისა .	23 — 50
VI	ამირანი (დრამატიული პოემა) სეფასტიონ გრეჩხილაძისა	51 — 98
VII	ისტორია ქართული სტამბისა და მწიგნობრივის გერმანისა ჭ. ჭ. — სა .	99 — 151

მეორე განუთვილება.

I	სალეზი ლექსიპი, შეკრებილი სისიკონის-მიერ შერკვების-მიერ	152 — 154
II	ადაზვანი (მისივე)	155 — 156
III	ზმა (მისივე)	156

რ ჩ ე ვ ა.

(ზოგიერთების საპასუხოდ)

„შენი გზა აღმაფრენაა
და მარტო ჩანგი—ხელობა!
დაბლა ქვეყანას რას არებს
შენი ზრუნვა და მსჯელობა?

ჰაერში მოჭიკვიკე ჩარ,
ზე ანატაცი ტოროლა!
ქვეყანას ზოგიერთები—
ვეყუფით, თვითო-ოროლა.

ჩვენ დაგვაცადე! ჩვენ ვიცით,
რაც უნდა ჩვენსა მხარესა.
შენ წალი და ესაუბრე
ვარსკვლავებს, მზეს და მთეარესა.“

ასე ურჩევდენ მგოსანსა
ხოხონიერ და ტეტია.—
ერთი მათგანი ბრიყვია
და მეორე კი ცეტია:

ჯერ არ იციან არც ერთმა,
თუ „რა ხილია ხურმაო?“
„ჩემზე შეტს რომ იწველიდეს,
დამწიბლოს მე იმ ფურმაო!...“

1867 წ.

აკეკი.

ს პ ა დ მ ყ რ ფ ს . მ გ რ ს ე ნ ს

(ვუძღვი აკაი)

გამხნევლი სულით, გამხნევლი!
არ, არ გისუსტოს სხეულმა!
არ დაგიმონოს, მგოსანო,
საწუთოს სხივმა წყეულმა!

კიცხვა და ლანძღვა უმართლოთ
ხშირია, ქვეყნის მეფეა!..
შოთამ სთქვა: „ვარდი უეკლოთ
არავის მოუკრეფია!“

სანამ ცოცხალ ვართ—გვდევნიან,
არ მოგვიშლიან კბენასა,
ჩირათ აგდებენ მოყვასის
ლმობიერისაც—წყენასა.

სხვა-და-სხვა ჭირის წყალობით
ჩვენი ცხოვრება—მტვერია,
და კიდევ ადამიანიც,
ადამიანის მტერია!..

დახე ცრუთ ენას, მტერთ შურსა,
სოფლის ჭირსა და ვარამსა!
დიდებულს მგოსანს უვიცნი
ვის გიწუნებენ კალამსა?!

მაგრამ იცინე ჩვეულებრ,
გულში სთქვი, ენა მზიანო:
„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო!“

გეტყვი, მოხუცო მგოსანო,
თუმც რა მრჯის შენი ხწავლება?!
თვით უწყი, ჰენი საწუთრო
სხეა რაა, თუ არ წვალება?!

მიტომაც გვმართებს მხნეობა
გავკაუ-სალ-კლდევლეთ გულითა!
დე გვეიცხონ უმართებულობა,
ნუ დავეცმით სტულითა!*)

! ანუ ადრიბ ადრიბ ა. რილცვან
ალორისნი უზაბლუ თუ დეტია
... დეტი რამეცნ და აინტ
ალორი ფრილა : ქვეთ ჩილო
... ალ-ცული ალორი
... ძილედფრია — ალორ და ალორ
... ალორ შილ დეგომ ა
... ალორ და ალორ
... ალორ და ალორ

აროლცურ ალორ დემ-დე-
... ალორი — ალორი იმედე
... ალორ და ალორ
... ალორ ან პალით

... ალორ და ალორ დე
... ალორ და ალორ დე

*) ეს ლექსი იყო დატეჭილი „კვალში“ № 49 1894 წ.

კარგადმყოფ მეოსანს

(ეუძღვნი სილოვანს)

პასუხად თქვენის წერილის,
მოლვაწევ პატიოსანო,
ნება მიბოძეთ მოგიძლენათ
თქვენივე ლექსი, მგოსანო!

და გთხოვთ, რომ გადაუკითხოთ
ოპოზიციის სილოვანს,
რომ თვით მან დასდოს სახელი
მის მჩატე ნახტომს რწყილოვანს.

და ჩვენ კი არას შევკადრებთ
მის მაღალ პატიოსნებას,
რაღანც ამყოლი ბევრი ჰყავს
ჩვენში საკუჭო ოცნებას.

აკაკი

თავ-ზრდის ული ეპიზოდი სუსსიანი დღე იყოა აღმოსავლეთის ქარი დილიდამ საღამომდე განუწყვეტლივ ჰქონდა. გზებში ნა-მქერი იყო შეკრილი. თუმცა თოვლამ ტოტად იყლო, მაგრამ ქარი ფიფქს თოვლს დაავლებდა ხელს, აიკალა-თავებდა, მერე შეიძურთავებდა მაღლა და ისეთი სის-წრაფით ჰფანტავდა ჰაერში და ამტკერებდა, რომ თვა-ლით ვეღარაფერს დაინახავდით. თოვლის ზოგან სულ ა-ვეტილი იყო ქარისაგან, ზოგან კი ისეთი მთები იდგა, გეგონებოდათ, ვიღასაც ხელით მოუტანია და განგებ აქ დაუყრიაო.

ერთს უსიერს მთაში, მაღლობ გორაზედ გზენებჭ-ჭი იყო სოფელი „საქორელა“. სოფელი მეტად თხლად იყო დასახლებული. სოფელს გარშემო ტყეები ჰქონდა შემორტყმული. აგრძ შორს, შორს აღმოსავლეთის მხრით, მოსახლეებზე კარგა მანძილზე დაშორებული, - ბუჩქნარ ტყეში წამოყუნტული იყო ერთი ქოჩი, რომელიც დი-დი თოვლის გამო ძლიერ-და მოჩანდა.

დაღამდა. ქარი ტოტა ხანს ჩადგა. არსით ხმაურობა იღარ ისმოდა. ყველანი ტკბილს ძირს მისცემოდნენ: ამ სიჩუმეს და შეუღროებას მხოლოდ სიცივისაგან შეპყრო-ბილი ძალების წემუტუნი არღვევდა. პატარა შიუეტყულ მასახიდან, რომელიც საჯალაბო სახლს ჰქონდა გვერდწე-

მიღებული, მკრთალი სინათლის შუქი გამოჰყიაფობდა. ოთახში ერთს კუთხეზე ტახტი იდგა. ძლივს გაარჩევდით, რომ ტახტზე ვიღაც იწვა. ტახტის თავით, კედელზედ იყო მიყუდებული ერთი შუა-ხნის ქალი, რომელსაც თავი ტახტზე ჩამოვდა, თუმც ქვეშ ხელები დაეწუო და ისე დასძინებოდა. შეორე კუთხეზე იყო შიწოლილი მოხუცებული კაცი, რომელსაც ზევიდან ჩახა ჰქონდა გადავარებული და რომლეს ხერინაცოთხის მყულროსების არღვევედა.

შუა-ღამე ჯადასული იყო, ქარი, რომელიც საღამოს ეამზე ჩადგათ ნაშუალამევს ისევ ამოვარდა გიგხავით წრაჭორიან ტელს აყენებდა, ხან-ჭამოშვებით ისე შაგრატ ტრ-ტრაკებოდა ხოლმე სეხლს; რომ; გუგრნებიადათ, დანგრევას ჰლამობსა კედლებში ქარი სისინზო შემორბოდა და თან თოვლის ნანქერი შემოჰქონდა: ტახტზე ურისც შეინძრა, ერთიც ხმა მაღლა წაშოიკუნესა და დარბაზი: „ვი დედა“! ამ სიტყვებმა და ტახტის განძრეფში თგვალეც გამოალეიძა. საწყ:ლი თეკლე გაბოროტებული წამოსარდა ზეზე და სანთელს ჭილი წაპტანა. სანთელი, რომელიც ძლივს ბუუტავდა, უნაერობის გამო, ტახტიან მიიტინა, საბანი გადახადა და პატარა დათხკოს ჩახდა.

— დათკო, რა იყო, გვაცეცალე, რაი? მითხარი გენაცეცალე, რატომ დაიკვნეს, სადან გრძივაჩეცევე წებოდა თეკლე თავის შეილს.

დათკო ხმას არ იღებდა, მთლიად გაშეშებულიყო, ცალ კუთხეზე თავი გადაეკინცა და სიმწუხრის კეცლი თფლი ასხამდა. სახე გაფინორებოდა და თვალის უპეება მაღლა, შეეტრიკალებია.

— ახ, ღმერთო, ჩემო! ბუტბუტებდა თეკლე. ეს რაინ დღეა, რაც სხეულაშირად იყო და ფიცვდი კაი არა უქნი დამემართებოდა...

თუნის ღუმელში ცუცული ჩატრალებულ. სუსტიში
მცტად სცვოლდა. რეკლე მიერთა მამამთილთან და უკრა
მორიცლებით გააღვიძა.

— ბატონი, უკრა ხანს ჰლექი და ცუცულს შეუტე-
ზე, დათიკო არის ძალიან ჩვერი და რა გვეშეცლება —
ლმერთმანა?

საწყალი ბერიკური ჭაბოროლებული წამოვარდაზე-
ზედ და დათიკოს საწოლთან მიერთა. რა იყო, ბაბული,
არა? რა გტკივა? ჩასპასილა დათიკოს ბაბულა შეგრძე-
ლოთქო ხმას არ იღებდა.

ბერიკური ღუმელთან მიერთა და ცუცული მაღლე გა-
აჩალა. დათიკო ერთო შეირშეშნა, წამოვარდა შეზე, სა-
ზარელი ხმით დაიკივლა და ისევ ლოგინზე ჭაუშეა. ტელ-
ფეხი მთლად უკანკალებდა და თაუ-კისერი უნებურად
ემანჭებოდა.

— არიქა, ბატონი, შეილი მჩეუდება! დაიყვარა თე-
კლემ და დათიკოს ხელი წამოატანა. აიყვანა ზელიში,
კუნა დაუწყო და ხმის გაცემას ქვეწებოდა.

— ერთი სიტყვა ბაინც გამავრნე, შენი კირიმე, და-
თიკო, ერთი; შენი საწყალი დედა არ გეცოდება? სადა-
ნა გტკივა შეილო, მთხარი? ბაეშვი ხმას არ იღებდა.
თვალები მომავედავივით უკან წაეღო.

ძნელი წარმოსადგენი იყო თეკლებს მდგრამორეობა.
ეს ისე უყცრად შეხვდა და მეტე ღამე, როდესაც ნაც-
თოცა ალის ჰქონდა, რომ სინათლეზე ეუცრებინა ას-
ვისე უერთიალერთი შეილისათვის. ზეცილი სუდილობრა
მარჯვედ ყოფილიყო, მაგრამ უფროსობელი. შეილის შე-
ხელვა გულს უთუთქედა. უნდოდა წასულებულ, მეზობ-
ლისთვის შეეცყობინებინა, ბაგრამ ისეთი დამშეცემა
თვალში თითს ვერ მიიტანდოთ. საწყალი ზერი-კაცი

შვალ-ცრემლიანი იჯდა ტახტის ბოლოზე და გულ-გახე:
თქილი დათიკოს თვალებში მისჩერებოდა.

ბევრი იშუოთა დათიკომ, ბევრი იტრიალა და შეტად
მოიქანცა. ცოტა მიეძინა, მამლებმა ყივილი დაწყეს;
გათენებამაც მალე მოატანა. ოთახში სიჩუმე იყო. მეზობ-
ლებს შეეტყოთ დათიკოს ავადმყოფობა და ახალი გათე-
ნებული იყო, რომ თეკლესას თაგი მოიყარეს. ხალხი
იმოდენი შეიკრიბა, რომ სატეობა აღარ იყო. მოსვლი-
სათანავე ყველანი ჯერ შედიოდნენ ოთახში დათიკოს სა-
ნახავად და მერე გამოდიოდენ საჯალაბო სახლში, საღაც
შუაცეცხლი იყო გაჩაღებული. დაბალი სადილობა იქნე-
ბოდა, როდესაც ტათიკოს გამოედეიდა; ისე იყო ანთე-
ბული პირზედ, გეგონებოდათ, ალი უკიდიაო. თეკლეს
ეგონა ძილში ყველაფერი გაივლიდა, მაგრამ იმედმა უმ-
ტყუნა. რომდენიც უფრო დრო მიღიოდა, იმდენი უფრო
უმატებდა დათიკოს სიცხე; მისს გულის ცემას კარებთან
გაიგონებდით.

გაიგოს თახი მნახველებით. თეკლე გიუსაეიო დარ-
ბოდა და ყველას შველას ეხვეწებოდა. ორი-სამი გზისა
გაგზავნეს სოფლის აქმ-დედაკაცებთან, წამლებიც ბევრ-
ნაირი მოუტანეს, მაგრამ დათიკოს ავადმყოფობას ნირი
ვერ უქციეს.

ამ უბედურებას მეტად აზერადებდა ცუდი ამინდი.
ქარი, რომელიც ნაშუალიერს ამოვარდა თან-და-თან
ძლიერდებოდა. ქარის შიშით კარებს ველარ აღებდენ.
ოთახი კომლით იქსებოდა, რადგანაც ღუმელის ლული-
დან ქარი უკან აბრუნებდა მას.

— უკლე, მართლა, იცი რა გამაბსენდა? უთხრა
თეკლეს მაზლის-წულმა—სოსომ.

— რაი, შენი ვიჩიმე, სოსომ?

— რაღ. და.... დღეს პარასკევი არ არის?
— პარასკევია... მერე რა გინდა?
— რამ და ყოველ პარასკეობით ჩევნს კანცელარია-
ში, დოხტური მოდის ხოლმე და მოდი შევატყობინოთ;
— ვინ გითხრა, რომ მოდის ხოლმეო?
— მე თვითონ ვიცი; ჩევნს ეკლესიაზე მამასახლის.
მაც-კი გამოვეიცხადა, რომ ყოველ პარასკეობით დოხტუ-
რი მოვა ხოლმე კანცელარიაში და ვისაც ან აეადმყოფი
გყავდესთ და ან თვითონ იყოთ ავად, მოდით და ნახე-
თო.

— ეგ კარგი დაგემართოს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ
ასე გამიგონია დოხტური ქე მოკლავს ავადმყოფს, სასი-
ცოცხლო პირი თუ ვერ შეატყოო, — მეორე კიდეც რომ
არაფერი უხიმანოს, ვის აქვს მისი ფულის მიცემის თავი?
ის ფეხის ქირას, ბეჭრს ითხოვს და შეიძლება არც კი იკა-
დროს და არ შეიწუხოს ამრჩთანა ამინდში თავი, უთხრა
თყელებ სოსოს.

— არა, თყელებ, ამბობენ, რომ ძალიან პატიოსანი
კაციაო. ფულის ხარბი კაცი როდია თურმე; რამდენსაც
მისცემ, იმდენს დაგჯერდება, სულაც რომ არაფერი მის-
ცე, არც არაფერს იმაზე იტყვის. ცოტა თავი შევაბრა-
ლოთ და ერთი სამ-მანეთიანი ქე ვაჩუქოთ.

— ან სამი მნენთი სად გამაჩნია მე ბედერული!
— იუ ღმერთმა ჰქნა და ამისთანა ამინდში უარის, არ
გვითხრა და წემომყვა, სამს მანეთს მე ჩემი ჯიბიდან მივ-
სცემ.

— მაგას რაღა აჯობებს, ჩემო სოსო, თუ მიშველით
რასმეს, თუ მჭ ვერ გადაგზადეთ ღმერთი მაინც გადაგი-
ხდისთ.

სოსო მაშინვე მოახტა ცხენს და წავიდა კანცელა-

რიაში ექიმის ბრძანებანათ. კანცელარიაც არ ჩყო ძალიან შორს, სულ ექვსი ფეხის მანძლზე არ იქნებოდა.

— ვინ გრძებავს? ჰეთხა იასაულმა სოსოს, როდესაც ეს უკანასკნელი არა-ჩვეულებრივად შევარდა კანცელა-რიაში.

— ლობტურს ვეძებ, შენი ჭირიმე, შეუგო სოსომ.

— რად გინდა დობტური?

— ჩენს თეკლეს ოტია გრძელიშის ქვერივს, ერთი ვაჯის მეტი არა გააჩნია-რა და ამ ფამად ისე არის შეწუ-ხებული, რომ ავსტრებ თუ არა, არ ვიცი მაჩვენე, შე-ნი ჭირიმე, დობტური, თუ აქ არის. უნდა დავუჩიქო, მოხლებზედ უნდა მოუკენიო და იქნება შემიბრალოს, იქ-ნება წამომყვეს?

— დოხტური აგერ ახლა სწერმ წაიყვანა. ჯერ მოვა თუ არა დღეს, ჩიც არ ვიცა და თუ მოვიდა, საღამოში-დის მაინც უკრ მრავა. უთხრა იასაულმა სოსოს.

სოსო მეტად შეწუხდა. დათიკო ისე ავად იყრ, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა იმისი სიკედლისაგან დახს-ნა, მხოლოდ გემის საშუალებით. დილონებული შეჯდა უხენზე სოსო და წაყიდა სახლში.

— ეს არ გითხარი, ჩემთ სოსო, არ წამოგყვება-მე-თქი! იქ იქნებოდა, მაგრამ ამისთმანა-ამინდში როდი შე-იწუხებდი თავს. ეინც ბევრს ფულს, მისცემს წინ-და-წინ იქნება იმას წაყვეს, თორებ ჩენისთანა ღატაკი კაცი ღმერთსაც დავიწყებული პიავს და უასტაც უთხრა თყვ-ლემ დალონებით.

— წარევარ სათანა მისული არ იქნებოდა სოსო, ჭირ-კართან ვიღაც ცხენოსანი მოვიდა. ცხენოსანს ტანზე ნაბედი ჰქონდა მოხურული და თავი ჭარბალახო შეხვეუ-

ლო. ჭიშკართან სოსო გავდია, სოსომ უცნობს თავი
დაუკრა „გაძარჯობა“ უთხრა და ბოლოს ისეც ჰკითხა:
„ვინ გნებავსა?“

— ოტია გრძელიძის ქვრჩევი ამ წახლუშა ცხოვერიბს?
იკითხა ცხენოსანმა.

— აქ გახლავს! მიუგო სოსოშ! ზო აფ ცხი აფ
ცხენოსანს ხმდა აღარ ამოუღია. ჭიშკარი გააღებინა
და ქართველი შემოტკიც. სახლის წინ მივიდა და ცხენილან
ჩამოხტა. უველავი გუნციფრებული დაჩჩნდ, რაღუსაც
დაზინჯეს; რომ მათ წინ ექიმი იდგა. ექიმს ცრენი ჩამო-
ართევს და სახლში შეიყვანეს.

— აფადმიყოფი სად არის? იკითხა ექიმმა.

— ოთახში გახლავს, შენი ჭირიმე! მიუგო, სოსომ
და ოთახის კარები გააღო.

ექიმი ცოტა შეწუხდა, როდესაც დაინახა, რომ ჯერ
ერთი ოთახში სატერაბა აღარ იყო და მერე ღუმელი ისე
გაეხურებიათ, რომ ოთხში სიცხის ალი ტრიალებდა.

— უკაცრავად-კი გახლავართ, უქნება კარში გაბრ-
ძანდეთ, უთხრა ექიმმა იქ მყოფთ.

ჭეშლანი ხმა-ამოუღებლად იდგნენ და საჯალობლა
სახლში გავიდნენ. ოთახში მხოლოდ თვალები, სოსო და
თეკლეს მამამთილი დარჩნენ. ექიმმა ცოტად ფანჯარა გა-
აღებინა. დათიკო მინანად იყო მიგდებული, თუმცა არც
ეძინა და თვალებიც გახლილი ჰქონდა, მაგრამ სრულს
გონჩედ აღარ იყო მეტი-მეტი სიცხისაგან. ექიმმა ავად-
მყოფს საბაზი გადახადა, მაჯაში ხელი მოჰკიდა და თვა-
ლებში მიაჩირდა. თეკლე, ზედა იდგა და ექიმის ყოველ
მოძრაობას თეალ-ყურს აღეცებდა. თუმცა ექიმს არც ავი
ეთქვა და არც კარგი, მაგრამ თეკლემ რაღაც ნაირად სი-
მაშაცის და სიმწნევეს მომატება იგრძეო.

— ეს ერთი საბანი ააცალეთ, ორი არ. არის საჭიროა
უთხრა ექიმმა. ფერებში აიღო საბანი და გვერდზედ გა-
დადვა.

ექიმმა ავადმყოფს საბანი გადააცალა და გულზე ყუ-
რი მიადო. ამ დროს თეკლე ხან დათიკოს შეხედავდა.
თვალებში და ხან ექიმს. უნდოდა ექიმისთვის ეთქვა რა-
მე, მაგრამ ვერ გაებედნა. ეს ექიმმა შენიშნა.

— თქვენ ნუ გეშინიათ, დავშვიდლით, თქვენი, შეი-
ლი მალე მორჩება, უთხრა ექიმმა თეკლეს.

— ეგ თუ მორჩა, მკვდრებიც აღსდგებიან, შენი ჭი-
რიმე!

— რალაი მე შეავედი, ეხლა აღარაფერი უჭირს, მა-
გრამ საშიშ მდგომარეობაში-კი ყოფილა. ავადმყოფის
მოვლა არ იცით, თქვე უბედურებო და რა გეშველებათ!
წამალს დაგინიშავთ, როგორც დარიგება გექნებათ, ისე
ახმარეთ. ჯერ-ჯერობით-კი თეოთონ მე მაქვს თან წამო-
ლებული აუმდენიმე წამალი და ამას ვახმარ. ამ სიტყვე-
ბით მან წაუსვა ავადმყოფს წამლები მტკივან ადგილებ-
ზე. ავადმყოფს იმდენად წამალი არ ეფარება, რამდენა-
დაც განივრული მოელა,—განაგრძო მან. მართალია, ავად-
მყოფის ნახვა და ჭირისუფლის ნუგეშის ცემა და გამხნე-
ვება კარგია, მაგრამ ავადმყოფის გარს შემოსევა-კი ძა-
ლიან მავნებელია. ჯერ პატარა ოთარი და მერე უთვა-
ლავი ხალხით გავსილი! ღუმელი ხომ ისე გაგეხურები-
ნათ, რომ გახურებულ თონესა ჰგავდა!.. ამისთანა შე-
სუთულ ჰაერში კარგად მყოფაც ავად გახდება, თორებ
ავადმყოფს რა მოარჩეს? საზოგადოთ ეს უნდა იცოდეთ,
რომ როგორც მეტი სიცივეა მავნებელი, ისე მეტი სი-
ცეცი. მეტ სიცეცი ისევ სიცივე სჯობია.

დალამდა. თუმცა აღარ თოვდა, მაგრამ ქარი თოვდს
ჰაერში ანიავდებდა. თეკლეს საფიქრებელი და სავალო
ის იყო, რომ ექიმი იმ ღამეს ველარსად წაეიღოდა და

მისთეის „სუფთად“ და საწროლი ბინაც არ ჰქონდა. ბევრი ფიქრის შემტევა იმ აზრს დაადგა, რომ ოთახში ცალკუტხეზე ტახტი დაედგა ექიმისთვის და იმაზე მოესევნებინა.

ექიმი გარედ გამოეიდა. გაიარ-გამოიარა და საჯალაბო სახლში შევიდა. ყველანი ზეზედ წამოცვიდნენ და გზა დაუცალეს.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ, რატომ? და გრიგორი? — მიაძიხა ექიმმა.

— ბატონო, თქვენ აქ ნუ შემობრძანდებით, ასევე, ოთახში შებრძანდით და ამაღამაც იქ მოისვენეთ. თუმცა თქვენი საკადრისი ბინა არც იქ არის, მაგრამ ამას მაინც სჯობია. — უთხრა ექიმს სოსომ.

— არც არაფერი აქმიშავს, ჩემთვის ნუ შესწუხდებით!

საჯალაბო სახლი ორად იყო გაყოფილი, ნახევარ-ზე ადამიანთა სადგომი იყო, ნახევარზე კი საქონლის ღამის გასათევი. შუა ალაგას კერა იყო მიწაში ჩაგდებული და დიდი ცეცხლი იყო გააჩალებული. ცეცხლს გარშემო შემოსევოდნენ თეკლეს მეზიბლები და დალონებულნი დათიკოს ავათმყდომით თავს ლაპარაკით ჩქილდნენ, ზოგზს ჩიბუხს გაეკეთებინა და აბოლებდა. ჩვენი ექიმიც იმათ მიემატა. სამ-ფეხა სკამი მიაწოდეს და ზედ დაჯდა. კალოშები გაიხადა და ცეცხლს დაუფიცხა, რადგანაც ზევიდან თოვლი ჩასულიყო და მთლად დაესველებია. ისეთი ცეცხლი გააჩალეს, რომ ერთს საუკენე მიეკარებოდით. წინიდან ყველას ცხელოდა და უკანუკან იწევდნენ, მაგრამ უკანიდგან კი სცავოდათ: ექიმი ცეცხლის სამხურვალეშ მთლად გააწითლა.

— ბატონო, დათიკოსას რას გვეტყე? — ჰკიოთნა ექიმს ერთმა ზანშერ შესულმა ჭატა.

ଏହିପରିଷ୍କାରକୁଣ୍ଡଳ ଦେ ପରିପାତୀ ପ୍ରକଳ୍ପରେ ଅନିତରେଖାରେ ଗଠିଲା-
ପ୍ରକଳ୍ପରେ, ଯୁଧ୍ୟତର କାର୍ଯ୍ୟରେ ରନ୍ଧର ପୂର୍ବକୁ ମନ୍ଦିରରେ ଦେଇ
ଥିଲେ ଯଥିରେ ବୁଦ୍ଧିଲିଙ୍ଗରେ, ତାରେମେ ପ୍ରଶାନ୍ତ ନିର୍ବିଦ୍ଧରେ ମାଘରେଣ ସାହେଜେ
ଦେଇଲେ, କାନ୍ତପ୍ରେଲାରିଓରଙ୍କ, ସ୍ବର୍ଗରେ ପାତିର୍ପାତା ଦେ ରନ୍ଧର ଦ୍ୱାରାକୁଣ୍ଡଳରେ
ଅନ୍ତରେ ଦ୍ୱାରା ଅନ୍ତରେ ଦ୍ୱାରା ଦେଇଲେ, ଏହା ଦେ ଏହା କାଳେ ଶୈତାନର ଦେଇଲେ
ଶୈତାନର, ଶବ୍ଦରେ ଦେଇଲେ ଶବ୍ଦରେ ଦେଇଲେ ଶବ୍ଦରେ ଦେଇଲେ ଶବ୍ଦରେ

ეს ღმერთში დიდი დღე მოგცეს, შენი კირიმე! მაგისტ
თუ ეხლა ეშველა რაშე, ვკონებ, თავისს დღეში აღარა
ფრია. გადი კირილებაში, საწყალის დღია მაგისის ლოცვით.
საწყალს მაგის მეტი არა გამართავა, მამას ლის, წლისა
დაზემო ეგ ბივშვი. დედამ იმოდენი ჟინილისი მოძმეულა
რომ არ გათხოვდა, ოჯახი არ გაკცივა.. წვითა და დაგვიდა
ჰყავო ნაზარდი, შენი ქრისტი კაციც ის არის ამ სახლში
და ქალიც. თუმცა მამამთილი, ჰყავს, შეაგრძელარც არა
ფრი, მას შეუძლიან. მოხუცებულობის გამო, მეგ ბავშვი
რომ გასკირევებოდა ჩამე, თუ ავიყრებოდით და შედაცი
სახლდებოდათ, თორემ მაგისი უკადვით აქ დელარ გაეჩერი
დებადით. ეხლა, მაგლობა ლმერთს, სწორედ მაგას მასწერ
ლად და ჰატრიონათ გაუჩენისართ მაგის მფლობელ ანგელ
ლომის.

ხევარზე საქონელი ება და მით ცუდი სუნი ტრიალებდა. ცოტა ნის შემდეგ ექიმი ოთახში შევიდა და ავადმყოფს დახედა. შევიდა და ნახა, რომ ოთახი მთლად გაბურუს ლიკო უშუშო. სანათის კომლით. ყურიგოვა, მაგრამ რა გაეჭირობდა. უკეთესი რომ ჰქონდათ, რაღა დღის-თვის შეინახავლნენ; მაგრამ აჩანდა რომ არ ჰქონდათ. ექიმს შემთხვევით თვითონ ჰქონდა ერთი ლერი ქანთვე-ლი. ამჟაღო და თეკლეს მისცა.

— ეს აანთე და ეგ სანათი კი დაქურე, მაგისრ მური ავადმყოფისთვის. კი არა, კარგამყოფისთვისაც კი მავნებელია. — უთხრა ექიმმა თეკლეს.

ექიმმა დათიკოს დახედა; ნახა, რომ ტკბილად ეძინა და შეპლზე ცოტა ცივი ოფლი წამოსვლოდა. თეკლეს უთხრა, რომ ღუმელისათვის შეშა აღარ მიემატებია და ნელის ნაბიჯით გარედ გამოვიდა.

— იმე უა, მალეგანთავის უფლდება! — დაიძახა ექიმმა როგორც შეადგი ფეხი საჯალაბი სახლში.

— ღმერთო უშველე გატირვებულის შეილს! უცელამ ქუდები მოიხადეს და ერთხმად წამოიძახეს.

— ეს თუნ უქის ღუმელიც ხომ სულ ხაწყალი ხალ-ხის საჭირ-ბორიოდ გაჩნდა! თქენ არ შეგიძლიათ ღუმელით სადგომში ზომიერი სიობო დაიკავოთ და ეს ძლიან მავნებელია ჯანმრთელაბისათვის. ღუმელი რომ ისუ გაახურო, როგორც წელან ფუ, როდესაც მუ მოვექ ლი და მერე იქ ნამყოფი კაცი აზესთანა ამინდში გარედ გამოვიდეს ავად გახდება, აბა რა დაემართება!

— არა, ბატონო, არც მაგაშია საქმე! — უთხრა ექიმმა დათიკოს ბაბუამ.

— აბა რაშია? — ჰქონდა ექიმმა.

— რაღაც სხვა ლიონებაში. შევედით, შეწი ჰირიმე!

რომ ამბობენ დედა-მიწა ტრიალებსო, მართალი ყოფილაა
ამ ტრიალმა საღლაც სხვა კუთხისკენ გადვისროლა, სხვა
ჰაერში გავვაგდო. აბა უწინ კი არ იყო ზამთარი და
სიციური? აი ამისთანა სახლში ვარ, ბატონო, დაბადებული
და გაზრდილი. ფეხშიშველსაც პევრი მივლია და ჰერან-
გის ამარაც იანვრის სუსხიან დღეებში, მაგრამ ავერ
ოთხმოც წელიწადზე მივატანე და სურდოც კი არ ვიცი,
რანაირი სატკივარია! ცეცხლის პირს რომ დავწოლილ-
ვარ იმ ღამეს ერთი პირი საბანს ზევით დაუთოვია ხოლმე,
მაგრამ კი არაფერი გაგვეირვებია. ან საგებ-სახლრავი სად
იყო უწინ ამისთანა? ქვეშ ღომის ჩალა გვეგო, ზევი-
დან კი, თუ ვიშოვიდით დაგლეჯილ-დაფლეთილ საბანს,
კარგი იყო, თუ არადა ჩოხას გადავიტარებდით და ისე
გვეძინა. ან ტანი და ფეხი სად იყო ამისთანა? ტხონე-
ბულს ბებია ჩემს ერთი ლურჯი ქათიბის კაბა ჰქონდა
და იმ კაბაში დათხოვდნენ ყველა ჩვენი სოფლის ქალები.
ეხლა კი ოთხი და ხუთი ხელი თუ არ მომიტანა ქმარმა,
ისე როგორ წავყვებით; ეხლანდელმა ახალგაზღებმა ტი-
ტოლი ფეხი რომ დაადგან ძირს, აი გავცივდი, აი სურ-
დო დაგვემართაო, იძახიან. რატომ ჩვენ კი არ ვცივე-
ბოდით მაშინ?

— ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ მაშინ სულ
სხვა იყიდ და ეხლა კი სულ სხვა. უწინ ამისთანა საღო-
მებში ვიბადებოდით და ამისთანაე საღომებში ვი-
ზრდებოდით. ეხლა სულ სხვას ეხედავთ. ჩვენ, რემდე-
ნადაც შეგვიძლია, ვცდილობთ ჩვენი მდგომარეობა გა-
ვაუმჯობესოთ; უფრო თბილს საღომებს ვაკეთდთ,
უფრო თბილს ტანსა და ფეხს ვიცვამთ და ამითი ტანიც
სითბოს ეჩვევა; რასაკვირველია, სითბოს მიჩვეული ტანი
ნაზღება და ველარ იტანს სიცივეს, როგორც, მაგალითად,
ამისთანა სახლში დაბადებული და აღზრდილი. აი ეგ პა-

ვშეიც თუნუქის ლუმელით გახურებულ ოთახში ნამყოფი გარედ გამოვიდოდა სიციეში და გაციელებოდა. მიაკვირს-კი, რატომ სოფლის ექიმ-მკითხავი დედაკაცები არ მოიყანეთ ამ ბავშვის მოსარჩენად? უთხრა ექიმმა სიცილით იქ მყოფთ.

— ბატონო, ხომ გაგიგონიათ წყალ-წალებული კაცი ხაესს ცკიდებოდა, სწორედ ასეა ჩვენი საქმე.—უთხრა ექიმს დათიკოს ბაბუამ. აბა ვის მივმართოთ, შენი ჭირიმე, საქმე რომ გაგვიკირდება, თუ არა სოფლის აქიმებს? კაი დაგემართოსთ, თქვენისთანა დოხტურები რომ ახლოს გვეკვიდნენ! ყველა ნასტავლი დოხტურები, შენი ჭირიმე, სულ ქალაქის ადგილს არიან და სანამდის იქიდგან მოვიყენდეთ მანამდის ავადმყოფს თავისი დაემართება. ან სად გვაჭვს ჩვენ საწყლებს რმოდენა შეძლება, რომ ყოველთვის დოხტური მოვიყანოთ? აქ, ბატონო, ჩვენს სეიმონას პიტე ცოლი ჰყავდა ავად. წაეიდა დოხტურის მოსაყვანად და სანამ სამი წითელი ქალალდი არ მიეცა, გარეთაც-კი არ გამოისულიყო: „სად შემიძლია იმ ოქენ სერებში თრიალით და მერე ამისა ანა ამინდშია“— ეთხრობია იმ დოხტურს. როცა სამი წითელი ქალალდი შეეგზავნა მოსამსახურის ხელით, მერე-კი აღარ ეუარებია. სამი თუმანი, შენი ჭირიმე, იმ დოხტურს მისცა, ბარეორი-სამი მანქოთი გზის ქირა დაგხარჯა, მერე კიდევ წამლების ფასი სხვა იყო; ერთის სიტყვით გაძერა საწყალს ტყავი. რა ჰქნას საწყალმა კაცმა? ისევ ავადმყოფის სიკედილს ამჯობინებს ამოდენა ხარჯის გაწევას. აბა შიბრძანეთ, შენი ჭირიმე, ვიღას მივშართოთ ამისთანა შემთხვევაში, თუ არა ისევ სოფლის აქიმ-დედაკაცებს? კი, შართალია, იმათ თქვენისთანა დოხტურებივეთ არაფერი ჩაიან, მაგრამ მაინც დიდი იმედია საწყალი გაჭირვებუ-

ლი უდამშოთის პატრონისაფვის. მაინც და მაინც ვერც
იმსა ეიტყვა, რომ სულ არაფერს ეფარებოდნენ ავად-
მყოფს.

მოხუცის ხიტყვებშია უსულო საკანიერო ჭავშეს ჩვეტ-
ნი ექიმი. ამაზედ პასუხის მიცემაც ძნელია და ამ რა უნ-
და ვუთხრა, როდესაც მართალს ამბობსო — პფიქრობდა
ექიმი — ვეღარ წაედა და ვეღარ შეიძლო საწყალმა ღა-
ტაკზა ჭირისუფალმა ოცი და ოც-და-ათი ვერსიდან ექი-
მის მოყვანა; ვეღარ შეიძლო ოცი და ოც-და-ათი მანქ-
ნის მიცემა და დაანებებს თაეს. იმ სოფლის. ექიმ-დედა-
კაცებს ორი აბაზიც რომ აჩუქონ, მაინც არ დაემდურე-
ბა. როდესაც სასწავლებელში გართ ბევრს ვყვირით, კო-
კნებობთ და როცა გამოვდივართ ცხოვრებაში, მაშინ
სულ სხვა მიმართულებას ვადგებით. გავათავებთ სასწავ-
ლებელს თუ არა, ყოველი ჩვენგანი საცხოვრებლად და
თაეისი მოქმედების ასპარეზად ქალაქებს ვირჩევთ და ვე-
ჩვევით ქალაქის თბილს ცხოვრებას. ის-კი გვავიწყდება,
რომ ქალაქში უჩვენოდაც ბევრი არიან და რომ ჩვენი
სამოქმედო ასპარეზი უფრო შორს არის. გვავიწყდება
ღამუკი მოძმენი, რომლებიც იქ შორს, მთასა და ინ-
დებში არიან გაფანტულნი და რომელნიც უმეცრების
წყვდიალში არიან გახვეულნი. იმათი ერთად-ერთი იმედი,
ავადმყოფობის დროს, სოფლის მკითხავ-ექიმები არიან;
ეს იმედი რომ იმათ წაართვას, მოუქსოს ვინმერ, სამაგი-
ეროც უნდა გაუჩინოს სხვა-რაიმე; ჩვენ-კი ვეუბნებით
სოფლის ექამ-დელაკაცებს ნუ უჯერითო, იმათ არაფერი
იციანო და მაგიერს იმედს-კი არაფერს ვაძლევთ!

ამ ფიქტში იყო გართული ექიმი, როდესაც უველანი
ადგნენ და ვახშაშს დაუწყეს მხალება. ვინც იქ დარჩა იმ
დამეს, ყველამ კარგი ხონჩა მთიტანა და სუფრა მშევრიე-

რად შემცირეს. ექიმი დალიან გააჭირარულა მათმა გულა კყითოლობამ და სტუმარო-მოყვარეობამ. იგახშემცირებული მადლობა შესწირა პატივის-ცემისათვის და ოთახში გავიდა ავადმყოფის დასახედავად. დათიკოს ოფელი დასდენნდა და გამოლვიძებოდა. ძილში ჭვალსაც გაევლო. აუკლემ საჭმელი მიუტანა, შეკამა ცოტა და ისევ მიიძინა. ექიმს როთახში მოსცენება სთხოვეს, მაგრამ არ დასთანხმდა, რადგანაც ოთახი ისე პატარა იყო, რომ მისი პაური ავადუ მყოფსაც თუ ეყოფოდა. თუმცა ძარღი იყო მისოფის, ფარლულიან სახლში ლამის გათვა, მაგრამ რალას იზამდაც ცეცხლის პირს სკამ-ლოგინი დაუზევს და დაუგეს. ექიმს არც ტანი გაუხდია და არც ფეხი, ტანისამოსიანი მიწვა და ზევიდან ნაბადი გადაიფარა.

დილაზე ოდრე იდგა და ცხენი შეაკაზმინა. უკანა-სკნელად შევიდა დათიკოსთან, რომელიც ლოგინში წა-მომდგარიყო და დედას რალაცებს ეტიტინებოდა. თეკლე გააშენევა და გამოვიდა გარედ. თეკლეს უნდოდა ექიმის წინ დაეჩრქა და მუხლები დაეკოცნა, მაგრამ სირცხვი. ლით ეერ გაეპეტნა. გამომშეიღობების დროს თეკლემ ექიმს ხუთ მენეთიანი გაუწოდა და უთხრა:

— ვიუი, ბატონო, ეს მცირეა, მაგრამ შეტის შე-ძლება არა მაქეს. სწორედ თქვენგან ნაჩუქარია ჩემი და-თიკო; მე-კი ვერ გემსახურები მაგის ფასს, მაგრამ ლმერთი მაინც გადაგიხდის.

ექიმმა ფული არ გამოართვა; დაუბრუნა უკან ფუ-ლი და უთხრა თეკლეს:

— ჩემი საჩუქარი და დაუფასებელი ნეტარება მა-არია, თუ კი ჩემმა აქ მოსელამ ტყუილად არ გაიარა. დათიკო თქვენი შეილია და, რასაკვირეველია, გაგეხარ-დებოდათ მაგისი განსაცდელიდან დასწრა, მაგრამ გარჩემუ-

ნებთ პატიოსანი სიტყვით, რომ თქვენზე ნაკლებ, აღარც
მე მახარებს მაგის კარგად ყოფნა.

იმის შემდეგ ექიმი.გამოემშვიდობა ყველას და ცხენზე
შეჯდა.

— ჰო, კინალამ დამავიწყდა, სოსო, შენ კანცელანის.
მდის უნდა ჩამყკე, — უთხრა ექიმი. — წამლები უნდა გა
მოგატანო. წავიდა ექიმი და სოსოც თან გაიყოლა.

— პატიოსანი კაცი კი მინახავს, მაგრამ მაგისთან
ლეთისნიერი აღარაფერი მინახავს? კაცი კი არა, ანგელოზი
უყოილა, ჩემო რძალო, ანგელოზი. რაკ მაგან წუხე-
ლის იწვალა. სწავ არც ათს თუმანს დაგვჯერდებულა.
ცვარი არ დაძინებია საწყალს წუხელი. ტანისამოსიანათ
მიწვა სკამ-ლოგინზე. — უთხრა თეკლეს მამამთილმა.

— სწორედ ჩვენთვის გმოუჯზავნია ღმერთს, ჩემო
ბატონო!

— მადლობა ღმერთს, შვილო, არ ვყოლივართ
ღმერთს დავიწყებული! ისევ ყოფილან იმისთანა კაცები
ჩეენზი, რომლებსაც საწყალი კაციც ბრალებიათ. ღმერთშა
უ გამოულიოს ჩვენ საცალავ ქვეყანას მაგისთანა კაცები!
სთქვეს იქ მყოფთა, ქუდი მოიხადეს და შეხედეს ზეცას.*)

10 თებერვალი, 1895 წ.

დ. კამკამიძე.

*) დიდის სიმოვნებით ვბეჭდავთ ამ აცირე მოთხრობას, მათ
უფრო, რომ აქ დასხულა მცურალი (ექიმი), სურვილისაგან ვამო-
წვეული, ოცნების ნაციფი კა არის, ნამდვილი ტიპია. ამ ბოლოს
ცროს არის ჩეენში „ჯუფი, რომელთაც მართლა საქმით უნდათ გაუ-
წიონ შეძლებისადგვარ ჩეენ ქვეყანას სამსახური და არა მარტო ცარიე-
ლი სტუცითა და გარეგანი ქვეყნი, როგორც დღემოსი იყო ჩეენში!.
მართალია, ეს ახლად გამოსული ახალკაზდები ისეთ მაღალ საფე-
ხურზე არა დგანან, რომ ყველას თვალში ეჩნირონ და არც სხვებ-
სავეთ მებუკე და მეგანგაშეები ჰყავთ, რომ უჯეროთ ქვეყანაში
სახელი გაითქვან, მაგრამ „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოსთ ოქენ“
— ბრძანებს დიდი მოძღვარი და, უებველია, ოდესმე ამათაც გაი-
ცნობს ჩეენი ხალხი და მაზინ კი შეიგნებს, თუ როგორი უნდა
იყოს ნამდვილი ახალთამბის კაცი. ამ მოთხრობაში დასხული
ექიმიც ერთი იმათგანა. ღმერთმა ინგბოს, რომ ამათ ძველების
ფარისევლიბა წინ არ გადალობოდეს.

ს ს მ ს რ თ ვ ე ლ რ ს დ ე დ ა - ქ ა ლ ა ქ ი

ტ ფ ი ლ ი ს ი ს)

ა. ტ ა მ ა რ ნ ი ა.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს ტ ა მ ა რ ი თ ი შ ო რ ი ს ყ ვ ე ლ ა ზ ე უ უ ძ ვ ე ლ ე ს ი
ა რ ი ს ს ი მ ა ნ ი ს ა დ ა მ ე ტ ე ხ ი ს ს ა ყ დ რ ე ბ ი . მ ა თ ი ს ი ძ ი რ კ უ ე ლ ი
ჩ ა ი ყ ა რ ა დ ა ბ ა ლ ა ვ ა რ ი მ ო შ ე ნ დ ა მ ა შ ი ნ , რ ო დ ე ს ა ც მ ე ფ ე
ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ მ ა დ ა ა ფ უ მ ნ ა ქ ა ლ ა ქ ი ტ ფ ი ლ ი ს ი , მ ა ნ ა მ ა დ ე
ც ი ხ ე დ ა დ ა ს ი ფ ლ ა დ ყ ა ფ ი ლ ი . მ ა ს შ ე მ დ ე გ ტ ფ ი ლ ი ს ი შ ი
ა შ ე ნ დ ა მ ჩ ა ვ ა ლ ი ე კ უ ლ ე ს ი ე ბ ი , რ ო მ ე ლ თ ა მ ი კ უ ლ ე ა ღ წ ე რ ა ს
ვ უ რ თ ა ვ თ ა ქ ვ ე მ ა თ ი ს დ ა რ ს ე ბ ი ს დ რ ი - ქ ა მ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ .

1. მ ე ტ ე ხ ი ს ღ ვ თ - ს მ შ მ ა ბ ლ ი ს ტ ა მ ა რ ი ს შ ე ნ ე ბ ა დ ა ს რ უ -
ლ ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ლ ი ს დ რ ი ს ვ ე . ი გ ი დ ა ი -
დ გ ა მ ე ტ ე ხ ი ს ც ი ხ ი ს შ უ ა გ უ ლ ს , ბ ე ქ მ ა ბ ზ ე , ს ა ი დ ა ნ ა ც მ შ ე -
ნ ი ე რ ა დ მ ო ჩ ა ნ ს ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა რ ე მ ა რ ე . მ თ ე ლ ი ბ ე ქ მ ა ბ ი
მ თ ლ ი ა ნ ი კ უ ნ კ უ ხ ი ა დ ა მ ა ს თ ა ნ ა ვ ე მ ი უ დ ე ლ ე მ ე ლ ი დ ა მ ა გ ა რ ი ,
რ ი ს გ ა მ ი ა დ ა რ ქ ვ ე ვ ი ა მ ა ს თ ვ ი ს ი ს ა ხ ე ლ ი ც .**) თ ვ ი თ ტ ა მ ა რ ი

*) ი ს . « კ რ ე ბ უ ლ ი » № 11 , 1899 წ .

**) ს წ ე რ ე ნ , ვ ი თ მ დ , მ ე ტ ე ხ ი ი ყ ი ს ბ ე რ ძ ნ უ ლ ი მ ე ტ ო ხ ი ს , (Metochos)
გ ა რ ნ ა ჩ ვ ე ნ , გ ვ ვ ი ნ ა , რ ო მ ი გ ი წ ა რ მ თ მ დ გ ა რ ა ს ი ტ ე პ ვ ი დ ა მ
ტ ე ბ ა (პ უ რ ი ს ტ ე ს , მ ტ რ ი ს გ ა ტ ე ს დ ა ს ს). რ მ ლ ი ს ა გ ა ნ დ ა ზ თ ე ნ ი ლ ა
ტ ე ბ ე ბ ა (ფ . გ . - ჯ ა ნ ი ძ , გ ვ . 112), с о с т о я т ь с я , с о п е р и ч и т а т ь დ ა
ს ს . მ ტ ე ხ ი (= მ ე ტ ე ხ ი) , с о с т о я г а ю щ ი ს я , р а з б и в а ю щ ი ს я .

ქველადგანვე ყოფილა სასახლის კარის ეკულესიად. მასში არა ერთგზის მოუსმენია წირვა-ლოცვა თამარ წმინდას, რომელიც მისვე ახლოს ისნის სასახლეში გარდაიცვალა. გაახლებულია მხოლოდ ტაძრის გუმბათი, ხოლო დანაშთენი ისევ ვახტანგის დროისაა. ქვის გუმბათი გაახლა დიმიტრი თავდადებულმა (1289 წ.); მეფე შავნავაზმა ტაძარი სათოფ-წაზლედ აქცია (1661 წ.), ხოლო მეფე ერეკლე I (ნაზარ-ალი-ხან) გადასცა იგი ყიზილბაშებს ციხითურთ; ერეკლე II გაამშვენა ტაძარი, გარნა 1795 წ. დააზიანეს იგი ყიზილბაშებმა. მის აღმოსავლეთის კედელზე, გარედან, სწერია:

მეფემ ერეკლემ ეს ციხე მტკერთა წაართო მაღადო;
აიღო ჯუარი ქრისტესი, წინ მიმძღვარა ფარადო;
დაიხსნა ეკკლესიანი, ახლა აქვს სახლის კარადო;
ლუთის მოყვარესა ხელმწიფეს ესე სპირს ამის გუარადო;
ლუთის სალიდებლად, მეოხედ მეფის ერეკლესია.

1795 წელს, ყიზილბაშების შემოსევის უამს, დაიკარგა ტაძრის ხატი, რომლის სამაგიერო გამოგზავნა პეტერბურლიდან ბატონიშვილმა სალომემ, იულიანის მეუღლემ. ეკკლესიისავე ეკვედორში, როგორც ვსთქვით, არის საფლავი წმ. შუმანიკისა.

2. სიონის ღვთის მშობლის ტაძარი, დედა ეკკლესიაა და სიონად წოდებულია პალესტინის სიონის მიხედვით. ეს სიტყვა (სიონი), რომელიც ნიშნავს კლდეს, ძველათ-განვე შეითვისეს ქართველებმა და სიონი უწოდეს აგრეთვე მრავალს ეკკლესიებს:*) როგორც ზემოთაც ვსთქვით,

*) სიონი სამშეილდებისა (აშენდა 410—434 წ.), სიონი ბოლოში-სისა (408—410 წ.), სიონი ერწოისა (668—718 წ.), სიონი კავკა-სიონისა (ყაზიბეგთან, დარიალის ხეობაში), სიონი ატენისა (მის

სიონის საფუძველი ჩატყარა მეფე ვახტანგ გურიებასაღმებ
ხოლო მის აშენებას მოუნდნენ მეფები დაბი, გურამი და
აღარნასე (619—639 წ.). ძველი მატიანე სიონის შე-
ნობის დასრულების შესახებ შენიშნავს, რომ ამ დიდს ყუ-
კლებისას აშენებდნენ: მეფე გურამის დროს — ნახევარსა ყო-
ველი ერი და ნახევარსა ერისთავნი, ბოლო ადარნასეს
დროს (622—628 წ.) — ნახევარსა აშენებდა ყოველი ერი
და ნახევარსა ერთი ვინმე დედა-კაცი, და 628 წელს
სიონი განსარულეს მკვიდრთა ქალაქისათა.*) სიონი აგვ-
ბულიყუა აგურით, გარნა თლილის ქვით (ალგეთის ქვა)
გაახლებულ იქმნა შემდეგს საუკუნოებში. აი მოკლე
ნუსხა სიონის თავადასავლისა: მე-XIII საუკუნეში სიო-
ნის გუმბათი ჩამხაგდო ჯალალ-ედდინ სულთანმა, ტაშ-
ტად დაიღვა და მასზე მჯდომარე სიამოვნებდა ქართველთა
აღწყვეტის ხილვით. მე-XIV საუკ. ტფილისი შემუსრა და
და სიონი გააოხრა ლანგთემურმა. 1518 წ. შაპ-ისმაილმა
აიღო ტფილისი, დაანგრია მისნი ტაბარნი და სიონის
ლეთისმშობელი მტკვარში ჩააგდო. 1795 წ. ოლა-მალო-
მედ-ხანმა, გადასწვა სიონის კანკელი და აღზნებულ ცე-
ცხლის ბოლომა შემურა ძველი მხატვრობა; ყიზილბაშებმა
ამავე დროს შეიპყრეს ტფილელი მიტროპოლიტი დო-
სითეოზი და მტკვარში ჩახრიეს. სალნი ძველი ჰქონდა

კედელსე დ. ბაქრაძემ ამოიკითხა: „თვესა აგვისტოსა ხუთსა დღესა
შაბათსა ქ'სა ოგ (853 წ.) ზედა წელსა სარკინობისა ტფილისი და-
ატყვევა ბუღამ და შეიპყრა, ამირი საკა მოკლა და მასვე თვესა
აგვისტოსა კეირიაკისა დღესა შაბათსა ვეზირა შეიპყრა კახამ და მე
მისი თანხური“), სიონი უწერისა, სიონი გარეჯისა (VI საუკ.),
სიონი წმინდა ანუ სინომინდა (ქობულეთში), სიონი შილდისა
(რაინგრა XI საუკ.), სიონი გარისა (ააშენა ლეონ მეფემ 1536 წ.).

*). ქ. თაყაიშვილი. სამი ქრონიკა. 84, 36, 45. ცდილი მარი

ერთი ეკვედერი — პეტრე-პავლესი, რომელიც 1804 წ.
მთავარმართებლის ციციანოვის სურვილით ალექსანდრე
ნეველისად შექმენი, ხოლო, 1818 წ. სალაროდ, მის
მაგიერე ექსარხოსმა თეოფილი პტერმ სხვა ეკვედერი მიუ-
შენა სიონს სამხრეთის მხრით. სიონის ძევლი კანკელი,
როგორც საზოგადოდ ცველა ძველი ეკკლესიისა, ქვისა
იყო დაბალი. შაპაბაზის შემდეგ († 1628 წ.) ქვის კანკე-
ლის მაგიერე გაუკეთეს ხისა, რომელიც, როგორც ესთევით,
გადასწვეს ყიზილპაშებმა 1795 წ. ახლანდელი მისი. კან-
კელი ანდრიატისაა (თაბაშირისა) და როგორც კანკელი
და ისე ტაძრის ცველა მხატვრობა დახატულია თავადის
გაგარინის-მიერ. იატავი სიონისა დაგებულია მარმარი-
ლოს ქვით. ძველად სიონს სამრეკლო ჰქონდა ჩრდილოე-
თის მხრივ და ორ-სართულიანი, აგებული 1495 წ. ზემო
ჭართული მოადგებინეს ყიზილბაშებმა 1795 წ. ახალი
სამრეკლო, აშენებული 1816 წ., დგას საონის წინ, სა-
მხრეთის მხრით.

სიონს აქვს ძვირფასი და წმინდა საუნჯეები; მათ
შორის ცველაზე შესანიშნავია ა) ნინოს კაზის ჯგარი,
რომელიც უკეთ ავწერეთ, ბ) ტაძრის ხატი — ღვთისმშობლი; სიონის ძველი ხატი 1522 წელს ყიზილბაშებმა ჩააგდეს
მტკვარში, გარნა იგი გამორიყა წყალმა ნავთლუხს, საი-
დანაც, სპარსელების წასვლის შემდეგ, ისევ მოიტანეს
და სიონშივე დასუენეს. 1724 წ., ოსმალთა შემოსვესი
ეამს, ხსენებული ხატი დაიკარგა. მის მაგიერ ბატონი-
შვილმა გიორგი ვახტანგის (VI-ის) ძემ შესწირა (1762 წ.)
სიონს ახალი ხატი ღვთისმშობლისა, მორთული და მო-
კედილი დიდითა და ძვირფასის თველებით (200-მდე ლალია
70 ალმასი, 160 იაგუნდი, 90 ზურმუხტი, 70 ფირუზი,
600 მარგალიტი და სხ.); გ) კახეთის ნინოწმინდის საე-

პისკოპისონ ტაძრის სატა წმ. ჩინხასი, გადმოტანილი სიონის ტაძარში 1825 წელს. ამ ხატის ქვემო მხარეში ინახება წმ. ნაწილები, იგი მოჭედილია ოქროთი და აქვს 37 მწევანე ზურმუხტი, 28 მარგალიტი, 29 წითელი ლალი, რომლისგან ორი ფრიად დიდებია, და ერთი ოთხკუთხოვანი დიდი იაგუნდი. მოჭედილობის ზემოთ არის წარწერა, რომლითვანაც სჩანს, რომ ეს ხატი ნინოშინდის ტაძრისათვის შეუწირავს მეფე არჩილს; დ) აქვე ინახებოდა ის ხატი, რომელიც დაიკარგა სპარსთა შემოსვევის დროს 1795 წ. ეს ხატი იყო პირი ძევლის ხატისა, რომელიც შაპაბაზმა სხვა საუნჯეებთან ერთად წაიღო სპარსეთს (XVI) საუკ.), გარნა 1620 წლის უახლოეს ხანს შეიძინა იგი (ხატი) რუსის ვაჭარმა სტეფანემ და წაიღო კრასნოგორის მონასტერში (არხანგელის გუბერნია), საცა დაშა აქამომდე. ამ ხეტა რუსები „ქართველთა ხატს“ ეძახიან და მის საოხად აშენებულია ტაძარი მოსკოვეს (ნიკიტსკოვეს); ამას გარდა საყურადღებოა აგრეთვე ძვირფასი ნიეთები: საპატრიარქო გვირგვინი, რომელიც დირდა 7,000 მან. და რომლისაგან 1830 წელს გააკეთეს მიტრა; ორი მიტრა ალავერდის ტაძრისა, მოტანილი ტფილისს — ერთი 1818 წელსა და მეორე 1820 წ. (ალავერდის საეპისკოპოსოს გაუქმების წელიწადია); მიტრა მროველ ეპისკოპოსისა; მატრა მანგლელისა (რუსუდანის დროისა), რომელიც ახლა ინახება მოსკოვის მიძინების ტაძარში; მიტრა სამთავროს მთავარებისკოპოსისა; ქათალიკოსთა ფოსტლები, რომელსაც იგინი იცვამდენ წირეის დროს. — სიონის ტაძარში, ჰერხიან: სიონის მაშენებელი კურატალატი გურამ († 600 წ.), აღარნასე († 639 წ.), რომლის დროს დასრულდა ამ ტაძრის შენობა, იოანე მხარგრძელი თამარ-დედოფლის სპასალარი, მთავარმარიაებელი. პავლე

დიმ. ციციანოვი († 8 თებ. 1806 წ.), ი. 3. ლაზარ
ჩევი, რომელიც მოჰკული მარიამ დედოფლმა 19 აპრი
1803 წ. და სხ.

სითხის ქადაგთანასხი:^{*)} ისაკი (496 წ.?), ანტონი
თულასძე, მანგლელ ყოფილი (1047 წ.), გრიგორი I
(1258 წ.), იოანე I (1413 წ.), იოანე II (1434 წ.),
მანგლელ-ტფილელად წოდებული, დავით (1429 წ.),
გრიგორი II (1442 წ.), მანგლელ-ტფილელი, ბართლომე
(1444 წ.), ქრისანთე (1445 წ.), ნიკოლოზ I (1460 წ.),
რომელიც მოხსენებულია პაპის მიერ ბურგუნდის ლერცო-
გისადმი წარგზავნის წერილში, იოანე III (1462 წ.), აბრამ
(1486 წ.), ფრიად განათლებული კაცი, სიმეონ (1507 წ.),
იოანე IV (1518 წ.), ღომენტი I (1520 წ.), იოანე V
(1541 წ.), ტფილელ-მანგლელი, დანიელი (1577 წ.),
ბარნაბა (1592 წ.), იოსებ I (1698 წ.), ნიკოლოზ II
(1619 წ.), ღომენტი II (1690 წ.), ღიონისე (1621 წ.)
ელისე საგინაშვილი (1628 წ.), განთქმული მწერალი და
ათონის მოსახლეავად წასული 1640 წ., კირიაკი, ბარ-
ნაბა II, იოსებ სავაკე (1662 წ.), წასული მოსკოვს,
რუსთა პატრიარქის ნიკონის გასამართლებლიად შეყრილს
კრებაზე დასაწრებლად და მოკლული ბაზალეთის ომში
1688 წ., სიმეონ II (1700 წ.), ღომენტი III, ორბე-
ლიანი (1701 წ.) ტფილელ-ბოლნელი, ტრიად განათლე-
ბული მღვდელ-მთავარი, ნიკოლოზ III (1703 წ.), ღვთის-
მეტყველი, საეკკლესიო საგადიობელთა მწერალი და
უმთავრესი მებძე მეფე ვახტანგ VI-ისა, პავლე (1705 წ.),
არსენი I (1713 წ.), ექვთიმე (1718 წ.), ათანასე ამი-
ლახვარი (1749 წ.), რომელიც ვახტანგ-მეფეს წაჰყვა

*) Древн. Тифл. გვ. 169.

რუსეთს, აშტარხენს არქიმანდრიტობა მიღლო, 1733 წ.
მროველობა, 1752 წ. ისევ რუსეთში წავიდა და 1761 წ.
მოსკოვს გააწყო ქართული სტამბა, ქრისტეფორე თუმანი.
შეილი (1762 წ.), ამშენებელი ტფილელების სასახლის
მარნისა, რომელსაც აწერია: „ჩვენ თუმანიშეილმან თფილ
ლელ მიტროპოლიტმან ქრისტეფორემან ესე ზედაშისა
მარანი აღტაშენე. უსაც ამა მარნიდან ან ზედაშე ან
ლვნო მოგართუათ, ან ეს წერილი აღმოიკითხოთ, ცოდვისა
შენდაბა გვძმოდეთ; თქვენც თქუენის ცოდვისა
შენდობა გებძოძოსთ. წელსა ჩლებ"; ამავე ქრისტეფორემ
განამშენა საყკლესით გალობა; მიქელი ქ. 1771 წ.),
გერმონე (1784 წ.), რომლის დროს მოღვაწეობდა მღვდელი
მოძღვარი და განთქმული მქადაგებელი და მთარგმნელი
ითანე ისეშეილი, ეფრემ (1786 წ.), „სირი, ფსალმუნთა
მსტკნავი", დოსითეოზი (1787 წ.), დარია დედოფლის
მოძღვარი და მტკვარში ჩახრჩობილი სპარსთა მიერ 12
წენ. 1795 წ.; არსენ II ნაიბაძე, ბატონიშეილის ამდეულა;
ბეგის შეილი, უვი სისულიერო სამართალში მესცეს 1810
წულის და გადაყენეს. მოკედა 30 ნოემბ. 1812 წ. და
ამ დღიდან მოისპო ტფილელობაც.

3. საქართველოსა, აშენებული იმავე დროს,
რა დროსაც დაიდა საფუძველი ქალაქ ტფილისისა, გაობრებულ
იქმნა ლანგოვემურისაგან. ახალი ტაძარი ძველის საძირკელზე აგებულია მე-XV საუკუნეში. იგი ძველადგანვე ითვლება სადგურად იერუსალიმში მყოფ ქართველთა
მონასტრების ბერებისა—წმ. ჯვრის. მონასტრისა (IV—V საუკ.)., წმ. მოციქულის იაკობისა, ძმისა
უფლისა და წმ. წინასწარმეტყველის ილიასი (განახლუბული
დადგინდის მიერ მე-XIII საუკ.). ამ ტაძარს მეფე სეფე
სეიმოჩა (†. 1611 წ.) შესწარა სამღვდრო სოფ. დირბა

და სხვა მეფეთაგანაც. შეწირული ჰქონდა სოფლები, ყმე. ბი და ულუფა, ხოლო მისი წინამძღვარი შემოსავალს უგზავნიდა იერუსალიმის ქართველთა ტაძარს, უფლის საფლავის ტაძრად წილებულს. აზრი ამ შეწირულობათა და თვით სადგურის დახრება ტფილისში ის იყო, რომ ამ სადგურის მეოხებით საქართველოს ჰქონდა მუდმივი კავშირი. პალესტინასთან. წმ. ჯვრის წინამძღვართაგან ცნობილნი: ა) ნიკიფორე (1635 წ.), რომელიც შემდეგ შეიქმნა მთავარებისკოპოსად კვიპროსის მონასტრისა და მოციქულად წარიგზავნა რუსეთის წინაშე მიხეილ თეოდოროვიჩისა და პატრიარქის ფილარეტისა, ბ) პართენი (1678 წ.), რომელიც გაჟყვა რუსეთს აჩილ მეუქს, გ) ათანასე, თანამედროვე ერეკლე II-ისა და შემდეგ პატრიარქი იერულამისა, დ) ბენედიკტე, ბერძულიდამ ქართულად მთარგმნელი წიგნისა „თეადრონ“ და შემდეგ მიტრიკოლიტი ბეთლემისა, ე) თადეოზი, ვ) იაკობი, ზ) იეროთეოზი, ც) კესარიოსი, თ) დანიელი († 1859 წ.), ი) პროკოპი, განმახლებელი ეკკლესიის 1861 წელს და სხ. ამავე ტაძარში დასწერებს თვისი მოგზაურობა საქართველოში პატრიარქებმა: ანტიოქიისამ დოსტოეოსმა (1520 წლის ახლოხანს) და იერუსალიმებამ პასიონეს (1658 წ.) და დოსტოეოსმა 1689-წ.

4. მთაწმინდა არის ფრიად დიდი სათაყვანო ადგილი ქალაქის ყველა მცხოვრებთათვის. მთაწმინდის ტაძარი აღმართულია მთის ფერდობზე და ამ მთასაც ჰქვიან მთაწმინდა. ტაძრიდგან მშევნიერი სახილველია მთელი ქალაქი, იქიდგანვე მოჩანს ზედაზნისა, მახათისა და სამგრძის მთები და აგრეთვე მყინვარი. როგორც ზევითაც ვსთქვით, აქ მოღვაწეობდა მამა დავითი (შემდეგ „გარეჯელად“ წილებული) და მას ჰქონდა მცირე ეკკლესია,

რომელიც შე-IX საუკ. გაადიდეს და მონასტრები აღიარეს, ეს უკანასკნელიც განახლებულ იქმნა 1592 წელს დავით და ნიკოლოზ გაბაშვილთა მიერ. გარნა ესეც მოოხერდა და განახლებულ იქმნა 1809 წელს ქვაშვეთის მღვდლის თომა გრიგორიევისაგან. ეს განახლებული ტაძარი კაიალიკოს ანტონის ბრძან ებით აკურთხა არქიმ. ტრიფილიმ 1810-წელს. 1817 წელს გაუკეთდა ერცელი გზა. პოლოს გრიგორიევის მიერ აგებული ტაძარიც დაანგრიეს და მის მაგიერ ააგეს აწინდელი ტაძარი. ყრს დიდად სწამს ეს სიწმინდე, რომლის მოსალოცად თავს იყრის ერთ ყოველ ხუთშაბათს. დღეობა ტაძრისა მოდის ამაღლების სწორზე. ტაძრის ეზო-ყურეში ჰმარხიან: ა) დავით († 1824 წ.), ჩეკტორი თელავის სემინარიისა, მცტად განათლებული მოღვაწე შე-XVIII საუკ. დასასტულისა, ბ) ლიმიტრი ყიფიანი, გ) რუსის გამოჩენილი შეტრალი გრიბოედოვი, დ) მისი მეუღლე ნინა, ასული ჭავჭავაძისა და სხ. ტაძრის გვერდზედ მცირე მაღაროა, რომელშიაც გროვდება მთიდგან ნაყვენი წყალი. მთელი მთაწმინდა უტყეო იყო და ტყის გაშენებისთვის მხოლოდ ეხლა ზრუნევნ. მთაწმინდის აღწერას ვასრულებთ ნ. ბარათაშვილის ლექსით:

შემოღამება, მთაწმინდაზე

„ჰოდ მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილი შენნი,
დამაფიქტრებინი, ცერანანი და უდაბურნი,
ვითარ აშენონ, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაჭმენ, ამოს, ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იღუმალობა დაისადგურობს შენს არემარება! რა სანახავი წარუტყვიერ-თვალთა მაშინ შენს ტურდას სერზედ მდგომარეს! ძირს გაშლილს, ლაშაზს, ველსა ყვავილნი მოპოვენ, ვითა ტაბლას წმილას! და, ვით გუნდრუკა სამადლობელსა, შენდა აკმევენ სუნნელებასა!

მახსოვეს იგი ლრო, სამო დრო, როს ნაღულიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმავიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწერარ და სევდიანი!

ოჲ, ვით ყაველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰქ; ცაო, ცაო, ხატობა შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქეს დაჩინეული
აწცა რა თუალნი ლაქვარდს გონილვენ, მყის ფიქრი შენდა მოის-
წრაფიან!

მაგრამ შენაძინ ვერ მოალწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე შენსა მპერეტელს მავიწყდების საწუთროება!

გულისთვა ჩემი შენს იქითა... ეძიებს შაღლურს,

ზენაართ სამყაფს, რომ დაჭმოს აქ ამაოება...

მაგრამ ვერ სცნობენ, ფლახ, მოკვდაუნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა და, ცარს მიმართ მისირალ
ტრფაბითა,

შემოშერტყმოდა მისის მწერი, აღმსები ნაპრალთ მდუმარებითა;

ხანდისხან ნელად მქროლნი ნიაგნი ლელეთა შორის აღმოკვნესოდენ,
და ზოგჯერ ჩემი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ზან მცინარო, ზან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისითა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჭხნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

ჰსლუმდა ყოველი მუკ არე-მარე; პინდი გადეკრა ცისა კამარას;
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას.
გინაავთ სული, ჯერეთ უმანკო, შეურვალედაცით მოქანცული!—
მას ჰვავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შეუკ-მიბინ-
დული!

ამ გვარი იყო მთაწმიდაზედ შემოალმება! 169
ზი ადგილნო, მახსოვეს, მახსოვეს, რასაც ვფიქრობდი.

შე თქეენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!

მხოლოდ გული ჰჭრინობს, თუ ვითარი სძლვენით მას შვება!

ზი საღამოვ, მყუდროვ, სამოვ, შენ დაშით ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმერვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარევებლად!
მწერი გულსა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან შიილებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდუა ის განაჩათლებს!

მთაწმინდა ტიბლაც რომ „აღუშფოთებს“ სულტ ყოველს ქართველს! მთაწმინდა არის მრავალ საუკუნოების მოწამე იმისი, თუ ვითარ ბედმან სასტიქან „სიმრეტელტ ცასა ჩერენთვის რისხვით წამოპერაგნა“, თუ რაოდენ გზის აოხრდა ტფილის ულმობელ მტერებადან, რაოდენი მარჯნი სული დაკლა, რაოდენი სისხლი დაიღვარა!

მთაწმინდა ის წმინდა ადგილისა, საცა დავით მეფე (1505—1524 წ.), ბერად აღკვეული, მოღვაწეობდა და ზენარს აველრებდა თვის სამწყსოს, და აქვე იღესრულა და აქვე მთაიფლა.

მთაწმინდა ის ნუგეშის სიცემლია, საცა მეფე ერეკ-ლე II დაბინავდა დროებით და მიეცა გლოვასა და მწუხარებას თვისის. შვილის სოლომონის გარდაცვალებისთვამ.

მთაწმინდა ის ძლიერი და საპატირონო ადგილია; რომელსაც ვერ მიექარნენ აღა-მამად-ხანის მეორარნი 1795 წელს და რომლის ძლიერებამ გადაარჩინა უწყალო სიკვდილისაგან 50 მოქალაქენი, აქ ზეფარებულინი.

მთაწმინდა მთა წმინდა, მთა ძლიერი და მის საბლობი კლდეზედ დამყარებულია ბეჭი ქართვლისა!

5. ანხისხატი აგებულია შტკერის ნაპირა კლდეზე კათალიკოზის ბაბიუეს მიერ ადარნასეს დროს (614—639 წ.)—საოხად ღვთისმშობლის მარიამის შობისა. ტაძრის კამარა და გუმბათი დამყარებულია სამნ სვეტზე. დასავლეთის მხრით მისგმული აქვს სამრეკლო, რომელიც ააშენა (1675 წ.) კათალიკოსმა დომენტიმ, მეფე ქახეთის ძემ. ტაძრის ეზოში სამხრეთის მხრით ქალაქის აოხრებამდე (1795 წ.) იყო სასაბაზე, სადგური კათალიკოზის ამილია. აქვე იყო სასახლე საეკლესიო აზნაურების მაღალა შვილებისა, რომელ თავან აღირჩეოდნენ

ხოლმეց კათალიკოზის სახლთ-უხუცესნი. თვით კათალიკოზის სასახლე იყო ეკკლესიის ზღუდის გარეთ, ტაძრის ჩრდილოეთის მხრით. აღვილი ანჩისხატა და სიონის შორის ეჭირა მეფის სასახლეს. ანჩისხატი, მრავალჯერ გაოხრებული, განაახლა (მე-XVII საუკ. დამლევს) კათალიკოზმა დომენტიმ, რომელმაც მასში დაასვენა მაცხორის ხატი, მოტანილი ტფილისს ანჩის საეპისკოპოსო ტაძრიდამ. მის შემდეგ თვით ამ ტაძარსაც დაერქვა ანჩისხატი.

ანჩის ხატის სიგრძე $1\frac{1}{2}$ ალაბია და სიგანე 1 ალაბი. მაცხოვერის მარცხენა ხელში სახარებაა და მარჯვენა-თი ილოცუბა. ქრისტეს სახე და მთელი ხატი მოჭედილია ძეირფასად და ძეირფასის თვლებით. ლუსკუმა ხატი სა გადაკრულია ოქროთი დაფერილ ვერცხლის ფოთლებით. ლუსკუმის კარებზედ გამოყანილია ხატი ხარებისა, შობისა, მოგვთა თაყვანისცემისა და ნათლისდებისა. ამ უკანასკნელ ხატის ზემო სწერია: „სულსა პატრიონისა მანდატურთ უხუცესისა ბეჭისასა განუსვენე, ლმერთო“; მეორე კარებზე აწერია: „სულსა პატრიონისა მანდატურთ უხუცესისა და მეულლისა მისისა მარინასა განუსვენოს ლმერთმან“. — მაცხოვერი თვისის ფეხით ჰმუსრავს ჯოჯოხეთის კარიბპეს და გამოპყავს იქიდგან ადამი და ევა; მაცხოვერის მარჯვენით ჰხატია იოანე ნათლისმცემელი, მარცხენით ქალწული მარიმ, ძირს ქრისტეს საფლავზე. დაყინებული დარაჯი და მაღლა (ზემო მხარეს) ამაღლება. ლუსკუმის კარების ბოლოს აწერია: „ძენი მათნი მანდატურთ უხუცესნი სარგის, ყვარყვარე და შალვა აღიღნეს ლმერთმან“ *). ხატის ქვეშ სწერია:

*) ბექა და მისნი შეილნის სტოკრობდენ მე-XIV საუკუნეებში, იგინი ჰხატიან საფარის ტაძრის კედლებზედ.

„ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა ღვთივ გვირგვინოსანისა
დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისათა მე იოანე ანჩელმან
რკნაელმან კელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივითა შოკედად;
შფარველ-მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა
კელითა ბექახითა. ქრისტე შეიწყალე“.

ლუსკუმს ქვეშე აწერია: „ადილენ ლმერთმან კათოლიკოზი პა-
ტრიარქი, რომელმან განახლა ესე კელთ-უქმნელი: პირველ ედე-
სიდგან კინისტანტინებოლეს წარმოესვენებინათ, და ოდეს ლევ
ისავრო—¹⁾ და სხვანი ხატ მბრძოლის გამოჩდნენ, მას უმას მუ-
ნიდგან წარმოესვენათ. და დაესვენათ კლარჯეთის საეპისკოპოსოსა სა-
ყდარსა ანჩისასა. ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა მეფეთ მეფები
თამარისათა იოანე ანჩელს პატრიოსნად მოჰქედა, და ოდეს გათა-
თრდა სამცხე, ²⁾ მიშინ ალსრულიყო ტფილისის ვაკარი და ეყიდა
ფასითა და მოეხსენებინა ბიძისა ჩევნისა კათოლიკოზ-პატრიარქის
დომენტისათვის ³⁾ და მას ძეირდასად ეყიდნა და დაესვენა საყდარ-
სა საკათალიკოზოსა მეფიბასა პაპისა ჩევნისა მეფის ვახტანგისასა; ⁴⁾
მას აქეთ დიდად დაძველებულიყო ხე და მოჰქედილობა; ჩევნ
მეფეთ შარვანდელმან, ყოვლისა საქართველოს პატრიარქმან დო-
მენტი ⁵⁾ კვალად განვააჩლეთ და მოვპედეთ გული და კუბო, და
შევმატე თვალი და მარგალიტი. ქრისტე ლმერთო, შემინდევ ყო-
ველინ ცოდვინი ჩემნი, სატანჯველისა და ყოველთა მტერთა ხი-
ლულთა და უხილავთაგან მიხსენ და შემრაცხე მარჯვენით შენსა
და დაიცვე მეფეთა საქართველოს ბაგრატოვანი ვახტანგ ⁶⁾ და
მეუღლე მათი დედოფალი რუსულან, ბაქარ, გიორგი და ასულნი
მათნი, ყოველივე იხსენ განსაცდელისაგან. ამინ. ქ'ნს უოგ. ⁷⁾.

ამ ხატის კარები მოუკერდინებიათ (1686 წ.). იოთბე

1) ლეო ისავრო 718—741 წ.—²⁾ მე-XVII საუკუნეში.—
3) დომენტი II (1660—1675), რომელმაც ანჩის ხატი და მასთან
9 ხატი სხვა, მოტანილნი კლარჯეთიდგან ტფილისის ვაჭრისა ამირ-
ჯანისა და მის ძეთა ზურაბისა, მელქუმისა და დავითის მიერ, შე-
იძინა 2000 მოჩილად.—⁴⁾ მეფიბდა 1658—1675 წ.—⁵⁾ დომენ-
ტი III (1705—1742 წ.);—⁶⁾ ვახტანგ VI (1703—1724 წ.).—
⁷⁾ 1715 წ.

აშილიახვანისა და მის მეუღლეს თამარს, ასულს შეფის ვა-
ხტანგ V-ისას, და ძეთა მათთა ანდლუაფარს და დემეტ-
რეს. კარები მოუჭიდია და გაუკეთებია ოქრომჭედლს
ბერუკა დოლაძეს.

სამრეკლოს კედელს აწერია: „ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხე-
ულმან ბატონიშვილმან კათოლიკოზმან დომენტი აღვაშენენ სამრეკ-
ლო ესე და განვააჩლე საყდარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფო-
ბასა ქართლსა შანაგაზისა, ქ'ნსა ტინგ“ (1675 წ.).

ტაძრის ზარს აწერია *): „ეს ზარი ბუღან-ბეგმა ამრლახვა-
რის შვილმან ბატონს კათალიკოზს დომენტის (შევსწირე) და კა-
თალიკოზმა ქალაქის ლვითისმობელს (შევსწირა).“

6. ღურუკი მონასტერი ვერახედ საოხად ანდრია პი-
რელ წოდებულისა, აგებული ლურჯის ალგეთის ქვით
ძველს დროს. ვახუშტი მას ჰეხადის წმ. გიორგის ეკკლეს
სიად. ამ საუკუნისს დასაწყისს ამ ტაძარში ინახაელნენ
თოფის წაზალს. ტაძრის კედლების შიგნითი მხარე მთლათ
დახატული იყო. აღმოსავლეთის კედელზე არის შემდგი
წარწერა.

„ვინაიდგან ჩემებრ ბრალეულთაგან სარწმუნოებითა კეთილი-
თა..... კეთილად.... ქმნილნი..... ამისათვის მეცა შეილი შეშმა-
რიტისა ემბაზისა სახელით ოდენ ქრისტიანე, ბოლო საქმით ურჩი
და ყოვლად უშეშო ლეთისა ბრძანებითა უღირსი ბასილი ქართლი-
სა მთავარ-ეპისკოპოს ყოფილი, ძე კეთილ ნაშრომისა იობისა
უნდოთა ამათ მცირეთა ნივთა მიერ გულს მოდგინებით მსახოებე-
ლი შენი ცეკვბრსა ამას გიმეობ საყდარ-სართულსა სამისახლოსა ამას
ტაძარსა შენსა ყოვლისა სოფლისა მომანადირებელთა სარწმუნოე-
ბასა ზედა მართულსა ათერთმეტ თავად აღრიცხულსა დასა მოცი-
კულთასა თანამოსაყდრეო დაპსწრა (†) ანდრია... ხოლო ვაშენებ

*) ყველა ეს წარწერები და საზოგადოდ ტაძების აღწერა
გადმოვიდეთ პ. იოსელიანის წიგნიდან „Древности Тифлиса“.

ნაცვალ საგებლად ჩემთვს და საყვარლისა ძმისა ჩემისა ე.....უ
ქართლისა ამირთა ამირისა რუისთავისა და შვიდთა მათეულელთა
პატრონისა აბულ-ასახისათვის და უპირმშონისა ძმისა ჩემისა შვლი-
სა დავითისათვის ვიდრემდის დაუდგრომელსა ამას და წარმომდინა-
რესა სოფელსა შინა ხოლო..... ვიყუნეთ შევიდობით დაცულ
საძუალეთა ამათ შინა ქორონიკონსა”

“ ამ წარწერის მიხედვით შრომა ამტკიცებს, რომ ეს
ტაძრი აგებულია ან 1505 წელს და 1525 წ.. გარნი
არც ბროსესა, არც იოსელიანისა და არც მათ მიმღევს
დ. ბაქრაძეს, ჩვენის აზრით, საქმიანდ ვერ აუხსნიათ წარ-
წერა. ჩეენ ვიციო, რომ თამარ დედოფლის დროს ტფი-
ლისში სცხოვრობდა ამავე ქალაქის მკედროთაგანი თავადი
აბულასან, რომელი იყო „მეფეთ მეფისაგან წყალობა—
კელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა” (ქარ.,
ცხ., გვ. 284). ამ აბულასანს ჰყვანდა ძე გუზანი, რო-
მელიც თამარს აემალებინა და დაენიშნა გამგედ კლარ-
ჯეთისა და შავშეთისა. გუზანმა ბოლოს უდალატა თამარს
და იგი მოკლეს მთიბავებმა (ქ. ც. გვ. 293, 324). ეს
აბულასანი, ალბად იყო გაქრისტიანებული ყიბჩაღელი
ან ოსი. მას კარგად უნდა ხეოდნოდა ეს ქვეყნები,
რადგან თამარისათვის რომ ირჩევდნენ საქმროს, ამან
სთქვა: „მე ვიცი შვლი რუსთა ხელმწიფისა, როც
მელი ექსორია ქმნილ დევნილი, გარდმოიხვეწა და არს
იგი ყივჩაყთა მეფისა სვიაჯს ქალაქსა შინა“. ვითარცა
თამარი იშოდებოდა მეფედ „შვიდთა სამეფოთა“, „შვდთა
თემთა“, „შვიდთა სკეტთა“, ისე მისი ამირა ანუ ამირთ
ამირა, რომელიც ჰულობდა ქართლიდგან რუისთავამდის
(ყარიბია), ჰეთის თავის თავს პატრონად „შვიდთა მთე-
ულელთა“, ე. ი. ყივჩაყისა, ლსეთისა, ქარსლისა, ჩაჩნისა,
დედოდეჭისა, ლლილვისა და მარტინეტისა.

ანდრია პირველწოდებულის ტაძარში ჰმარხია ცრო-
ბილი მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, დიდი მტერი ანტონი
კათალიკოზისა.

7. გერის ტაძარი საოხად ლეტის შშობლისათვის აშენე-
ბული ძველად და მიწერილი ანდრია პირველწოდებულის
ტაძარზედ. მისგან, 3. ოისელიანის თქმით, დარჩენილია
ორი კედელი და აგურის ტრაპეზი. ამ ნანგრევებს ყოველ
წლივ აღდგომის მეორე დღეს მოილობავდა ხოლმე
გრეკო-იუსტინიანი ქათოლიკური მეულლე იოანე მუხრან-
ბატონისა.

8. წმ. მარინის ტაძარი ავლაბარში აგებული ძველს
დროს და განახლებული 1824 წ. 1849 წელს. წმ. მო-
წამეს მარინას დიდად პატივუებენ ქართველნი. მის საო-
ხად ბევრგან აგებულია ტაძარი, მაგ. კახეთში და სხ.
დიდათ ეხმარებოდა ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე გურა-
მისშეილი.

1735 წ. დაარსებულს სტამბი, წიკნების ბეჭდვა
მხოლოდ 1736 წ. დაიწყეს. ხუცეს-მონაზონ ქრისტეფო-
რე გურაშიშვილმა თავის შრომათ გამოსცა შემდეგი წი-
გნები: მარხვანი, ზატიკი და აზიანის წიგნი. ეს
მღვდელი ქრისტეფორე გურაშიშვილი ყოფილა მარ-
ჯენა ხელი იოსებ სამებელისა. ამ სტამბის დაარსე-
ბის ისტორიას აი რაგვარ მოგვითხრობს თვით დამარსე-
ბელთვე კარამი: — „ოდეს იშერთდა და განაგებდა გეთიადად
გამგებელი, პეთილ-მთარწმუნებელი და თეთი მშერობელი სრულიად
რესერვისა დიდი სელმწიუე იმშერატრიცა ანს ითანხმის, მას
უამსია იგულისმოდგინა უკადად სასატრიულმან არქეიპისაკონს-
მან კლადუქისმან და არსიმანდრიტმან ურევისამან, კართა მდი-
კან მწიგნითართ უსეუცესის ქაბულის თამაზის ძემს, სამე-
ბელმან ითავებ და მიბრძანს მე, უკადად უდირსისა გურაშის-
შეიდას მღვდელ-მონაზონის ქრისტეფორეს, სტამბის გაე-
ობა და გაგაჟეთებისე დიდის გული მოდგინებათ და წარგა-

ბითა საფასითა მისითა, და დაიძულდა დაგათხი, ზატივე და სახარება.“ ამ ცნობილან სხანს, რომ ქართული სტამბის დაარსების ნატვრა ქართველთ გარდა ორს უცხო ტომის სასულიერო პირთაც დიდად სურვებიათ. ამათ შემდეგ ამავე სტამბაში გამოუტია სხვა-და-სხვა წიგნები ქრისტეფორე გურამის შეილს. იმავ დროს, კახეთის მცფის არჩილის ასულის კარის დეკანის გიორგი ლამბაძა შეილს დაუბეჭდია „მარხვანი“. ამის გასწორებაზე ამათაც დიდით უმუშავნიათ. ამაზე აი რას სწერს თვით დამბეჭდია: — „მაღიათა დეკისათა, კი შერძეთ და კიღვაზე წმინდისა ამის „მარხვანია“ მე, უდინრიმან ქრისტეფორემ, კახეთის მეფის არჩილის კარის დავინოზის გიორგი დამბარა შეიღმა და სისვითა ვითონ მოწმობითა და მეწევნითა მოვიღეთ რუსელი „მარხვანი“ და როთხი ჩემის ენისა, და როგორც რუსელ „ტიბიკონის“ და რიგი უწნდა ისე იმ რუსელ „მარხვანზე“ კასწორეთ და ისე შეგვრიბეთ ხესითა“. შემდევ მოთხოვობილია, რომ რაც ჩერებში ცყლდა იმას რუსულით გიორგი დამბარა შეილი სთარგმნიდა და მით ვაკებდითა, ასეთი შეესებული და-ვბეჭდეთო. ჩევნ, თფილისში, დაბეჭდილი „მარხვანიც“ გვეკავათ. ეს მარხვანი მეორეთაც დაბეჭდეს 1741 წ. ამა-ვე წელს იოსებ სამებელმა დაწყყა ბინა ბეჭდვა ქართულის „დაბადებისა“ ურცელის ზომის, ამის შემუშავებაზე დიდი შრომა მიუძღვისთ გახუშტის, ბაქარს და ნამეტურ იოსებ სამებელს, გამოსაცემი ხარჯი თვით ამისი იყო. ეს „და-ბადება“ დამთავრდა და გამოიცა 1743 წ. გამოცემის ბოლოში ვახუშტის წერილი აქვს მოთავსებული, იგი მოგვითხრობს „დაბადების“ გასწორების, შეცდომების სწორების და ბეჭდვის ისტორიას. „დაბადების“ შემდეგ ზოგიც სხვა წიგნები გამოიცენ განმეორებით. ყველა ამ წიგნებს სწრაფათ გზავნიდნენ საქართველოში და აერცე-

ლებდნენ სამღვდელოებაში, ამაობაში მოახლოედა 1750 წლები, იოსებ სამებელი საქართველოში პირებდა გადმოსელას და თან სტამბის გადმოტანასაც, მაგრამ ეს მას უერ მოუხდა, იგი გარდაიცვალა 1750 წ. და ყოველივე მისი აზრები ჩაფუშულ იქნა. უნდა ვსთქვათ, რომ იოსებ სამებელს რომ თფილისში თავის სტამბა გადმოეტანა, მაშინ აქ ძრიელ ბევრი წიგნები დაიბეჭდებოდენ. იგი სტამბა მდიდარი იყო და მეორე თვით იოსები და მისი მომხრენიც გამოცდილი იყვნენ წიგნების ბეჭდვაში. საეკლესიო წიგნებს გარდა იგინი უსაოურდ საერო წიგნების ბეჭდვასაც დაიწყებდენ. თფილისში მაშინ ეს მეორე ქართული სტამბა იქნებოდა, მაგრამ ეს უერ მოხერხდა.

იოსებ სამებელი თავადის შეილთაგანი იყო, გვარად ქობულაშვილი, თავის დროს კვალათ საქართვისად განათლებული, მკონდე რუსულის, სლავიანურის და ბერძნულის ენების. იოსებ სამებელის სტამბა დარჩა მოსკოვს სამუდამოთ. მის ზედამხედველობა ბაქარ ბატონიშვილს და რამდენიმეც სხეულ მდვრელ-მთავრებს ებარათ. იოსებ სამებელის სიკედილის შემდეგ იქ შესწყა წიგნების ბეჭდვა. 1755 წ. ტფილისიდან გაჩდევნებს რესეთს ანტონ საქართველოს კათალიკოზი. ეს მივიღა რუსეთის კარის დადმი, უკანასკნელ იგი დანიშულ იქმნა ვლადიმერის და იერონომის ქანისკონათ. ამან იმეცადინა და 1759 წ. იოსებ სამებელის სტამბა ვლადიმერს გადაატვინა, დაინებული სტამბა იქ გააღვიძა, იქ გამართა და 1760 წ. წიგნების ბეჭდვაც დაიწყო. სხეათა შორის გამოსცა „ძღვე სარწმუნოებისა“ ვახუშტის ნათარგმნი, „თვენი“ მეორეთ. ქართულ-რუსულ-ლათინურ-ბერძნულ ანბანი და ზოგიც სხეა წიგნები. ანტონის საქართველოში დაბრუნების შე-

შდეგ ეს სტამბა დახურულ იქმნა. ონტონის სტამბის
გარდა 1761 წ. მოსკოვში მეორე სტამბა გახსნა ტფი-
ლელ მიტროპოლიტ ათანასე ამილახვარმა. ეს ათანასე
1759 წ. მეფე ირეკელესანგან რუსეთში ელჩით იქმა გა-
გზავნილი, ეს თანამომხრე იყო ვახტანგის ოჯახის და
წინააღმდეგი ერეკლესი, ამიტომ რუსეთიდან აღარ და-
ბრუნდა, რუსის ქვეშვრილომბა მიიღო. მეფე ერეკლევ
რუსის მთავრობას ორჯელ სთხოვა ამ მიტროპოლიტის
დაბრუნება, მაგრამ საქმე ვერ მოხერხდა. ამან თავის
სტამბაში გამოსცა შემდეგი წიგნები: სამოციქულო, და-
უითნი, ლოცვანი, ჟამნი, დაუჯდომელი და 1767 წ.
„პარაკლისი“ და ანბანის წიგნები. ონტონ კათალიკოზის
საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვლაპიმერის სტამბაც
ამ ათანასემ შეიძინა, მოსკოვს გადაატანინა და თავის
სტამბას შეუერთა. ამისევ დროს დაიბეჭდნენ რამდენიმე
საერო ლექსი და იამბიკოები ბაქარ ბატონის შეიღლისა.
ათანასე შიტროპოლიტი გარდაიცვალა 1774 წ. და და-
საულავდა დონის მონასტერს. ამის შემდეგ სტამბა კარგა
ხანს არსებობდა, იქ სხვა-და-სხვა წვრილი სასულიერო
წიგნები იბეჭდებოდა. უკანასკნელ ყველა ეს სასტამბო
იარაღები და ნივთები მოსკოვის უწმინდესის სინოდის
საკუთრებად გახდა, საქართველოს რუსეთთან დაკავში-
რების შემდეგ ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა
მოსკოვს გადირანეს, ეს ძველი სტამბა განაახლეს და იქ
დაიწყეს ბეჭდვა. მოსკოვში ქართული სასულიერო წი-
გნების ბეჭდვა გაგრძელდა 1860 წლებამდის. ამ დროთა
სტამბის მშართველთ მოღვაწეობა იქამდეს უფერულია,
რომ მასზე საუბარი ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია.

XVIII საუკუნის ნახევრიდან, რუსეთში, ქართველთ
სამილველოებამ ერთობ ხშირათ იწყეს გამგზავრება, ხსე-

ჩემულ საუკუნის, მესამე ნახევრამდის, ქართველთა ბინას
მოსკოვი შეადგენდა, შემდეგ კი მათ პეტერბურგშიაც
იჩინეს თავი, ნამე აურ ეყარერინა იმპერატრიცა მეორეს
დღიოდან. სკათა მრავალთა შორის, პეტერბურგში იმ
დღის, სცხოვებზე ქართველი ეპისკოპოსი, გრიგოლ ხა-
ლკაშვილი. ამანაც იღვაწ, და 1786 წ. პეტერბურგში
გახსნა ქართული სტატა, სადაც სხვათა შორის 1789 წ.
დაბეჭდი ქართული სახარება. სხვა წიგნების ბეჭდვაც
ვქონია ამ ეპისკოპოზე დაწყობილი, ძაგლამ დამთავრება
ველას შესძლებია. მას შემდეგ ეს სტატა მიითვისა გარსამ
არხიეპისკოპოზე, საქართველოში პირველ ქართველთ
ვეზარხოსათ ყაფილმა, სტატა გაწაახლა და განვიტო.
აქ დაბეჭდი მან ქართული „ოვენი“ სახარების ახსნა და
წოდიც სხვა წიგნება. 1815 წ. იქევ დაიბეჭდა ლექსიდ:
„ქართველ დელიციის წამება“. შედეგნ-ლი დიმიტრი
ბაგრატოვანისა, 1812 წ. რუსთა ლაშქრის მხედარ მთა-
ვრის ბაგრატოვანის მშის. ვარლამ ეგზარხოსად ყოფილი
პეტერბურგის ქართული სტატის გახსნის საქმეს ასეთის
ციხრუხაულის ლექსის კილოგი შეამკობს:

„ლეთის შეწევითა, ზესთა ზენითა,
მოსკოვს შემხადა სტატა ქართული,
ქსნის ერისთვისა, დავითის ძისა,
ვარლამ ლვაწლი ქმა გამართული.
ვინ იყო დელად, ახტალის მწყემსლად,
აწ რესთ სინოდის წევრათ შართული,
გიძლენისთ ივერთა, ამერ იმერთა,
წიკნ დლესასწაულ მბეჭდველი სრული,
მასთან იონა, ვინ არ იონა,
შრომის მოყვარე ცენტორობითა;
მიტონპოლიტონ გამშინჯ-გამშვრეტმან,
გელეონის ძემ ძველ გვარობითა

ნრეფორმითა მკითხვს სწორითა,
იგულს მოდგინეს საქმარობითა
კეთილ შობილმან პატარემან,
მესტამბეჭ ყოვლით სახმარობითა.

ამ სტატბის გახსნით იწყება საფუძველი პეტერბურგ-
ში ქართულის სტატბის გაძლიერებისა, თვით სამეცნიერო
აკადემიის სტამბის ნიადაგის განმტკიცებაც ამას მიეწერე-
ბა, რომელ სამეცნიერო აკადემიის სტამბაშიც პროცემ
და ჩუბინაშვილმა გმოსცეს 1840—1863 წლებამდე „ქარ-
თლის ცხოვრება“ ვახუშტის გეოგრაფია, ქართულ-რუ-
სულ-ფრანგული სლევარი, ქრისტომატიები, ოანჯ შავ-
თელის „საპასუხო ცხრილი“ „ვეფხის-ტყაოსანი“ რამდენ-
ჯერებ, „სიბრძნე სოცრუე“ ქართული გრამატიკები, „ჩონ-
გური“ ლექსთა კრება კ. ლომათ-ქიფანიძისაგან 1865 წ.
და 1869 წ. „კაცია აღამიანი“ ილ. ჭავჭავაძისა და რა-
მდენიმეც სხვა წიგნები. უნდა ესთქვამ, რომ მოსკოვის
ქართული ასოები და პეტერბურგისა ერთმანერთისაგან
დიდათ განიჩევიან. პეტერბურგის უფრო მოსაწონია,
მის ყალიბები XIX საუკუნეშია შედგენილი და მოს-
კოვისა კი ძევლათ. დღევანდელ ჩევნ აკადემიურ ასოე-
ბის ყალიბებს ნათელავობა 1712 წ. თბილისში გამო-
ცემულს „ვეფხის-ტყაოსნის“ ასოების ყალიბებთან აქვს.
მოსკოვის კი მეტათ განკერძოებულის თვისებისა არის,
მათ რამდენიმე ქართველო სასულიერო წოდების პირთა
სახის ბეჭედი ატყვია. ეს უფრო რთული სამზერ საკით-
ხია, პეტერბურგის კი მეტათ მარტივი, კოხტა, ნამეტურ
წევნიკი ასოებია. პეტერბურგის სტამბაში პატარეს შემდეგ
მეტათ მცდელი ხელოსანი ყოფილა მესტამბეჭიდების, რუსეთ-
ში მყოფ ყველთბატონიშეილების მომსწრე. ჩაუ-კი პეტერ-
ბურგს ან მოსკოვს XIX საუკუნეში ხუცური და მხედ-

რუსი წიგნები დაბჭევდა, სულ ამ ამომწყუბლის ამო-
წყობილი ყოფილა. 1841 წ. გამოცემულს „ვეფხის ტყა-
ოსნის“ ბოლოზე მარი ბროსესაგან მიპეტილია შემდე-
გა ტაქტი, საჯარ მოიხსენებენ ტაბიძეს ასე:

„სეიმონ მესტამბე ტაბიძე, ბეჭდაზე იყო მცველია,
დავაეჭდეთ წიგნი აწ ახლად, განახლდა ძევლის-ძველია“.
და სხვანი. ზემოსცენებულ სტამბებს გარდა რუსეთში,
კრემენჩუგსაც გამოიკავათული წიგნები. აქ ვიტყვით
ამაზეც მკრჩედ.

XVIII საუკ. ბოლოს, საქართველოს რუსეთთან და-
კავშირების ზანა უკვე ახლოვდებოდა. ამისთვის გამარ-
თული იყო მიწერ-მოწერა. ორივე მხარეში საქართვინი
იყვნენ რუსულ-ქართულ ენების კარგად მცოდნე პირე-
ბი. ერთი ასეთაგანისა გაიოს ნაცვლიშვილი, მოწაფე ან-
ტონ კათალიკოზია, რომელმაც სწავლა მოსკოვის აკა-
დემიაში დაამთავრა 1768 წ. შემდეგ საქართველოში და-
ბრუნდა და 1781 წ. თელავის სემინარიის რექტორ თ
იქმია დანიშნული, ამ დროს იყო არქიპეპიტორად იყო.
მცირე ხნის შემდეგ რუსეთის მთარეობის დავალებით მან
რექტორობას თავი გაანება და რუსეთში გადასახლდა, იქ
ეს დიდის პატივით მიიღეს, დანიშნულ იყო უცხო ქვეყა-
ნათა კოლეგიის ნაწილში ქართული ენის მთარემნელათ.
შემდეგ გარემოებამ კრემენჩუგი, გასტურიუნა. იქ ეს ამა-
ღდ არ დაშთა, იქმუხის ერთს სტამბაში მოპირებინა
ქართული ასოები და 1793 წ. გამოიკავა 1) „ქართული
გრამატიკა“; 2) 1798 წ. „საცისკრო ლოცვანი“, პ)
„შენება ესილის ბეჭდენთ მეფისა“ და რამდენიმეც სხვა
წერილი წიგნები. წერილ წიგნებისამ ჩვენ დრომდის ვერ
მოაღწიეს: მიზეზი წიგნებთა მცირე რიცხვის ბეჭდვა უნ-
და ჩითვალოს. საქართველოს რუსეთთან“ ლჟკავშირების

შემდევ, გაისა ნაცული შეილი ეპისკოპოზის ხრისხით
მაზდოურას და ყაზლარის კათედრას ე გადმოიყენეს. ცე-
ვე განაგებდა ოსეთის სამქალაკებლო კომისიის საქმესაც.
აქ, ეპისკოპოზის დროს, ყაზლარშიაც გაუხსნია ქარ-
თული სტამბა და ოზი ოუ სამი წიგნი დაუბეჭდია, ამ
წიგნების მოპივება ერთაბ იშვიათია. 3. უჩიკაშეილის
სრტყელი, სამეცნიერო ეკადემიის წიგნთ-საცავში ინახება
მხოლოდ ორი წიგნაცი. სხვაგან არსად არაფერი დაშთე-
ნილა. ამ სტამბის ისტორია ჩვენთვის უცნობაა არის
დაშთენილი, თუმც გაიოსის ცხოვრების შესახებ ნიკო-
ლოზ მთევრელიშეილისაგან საკმარისად საფუძვლიანი
მონოგრაფია გვაქვს ქართულს მწერლობაში.

რუსეთის სტამბის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ
ზემოსხენებულს სტამბებს გარდა პეტერბურგს და მოს-
კოვს სხვა-და-სხვა უცხო ტურა სტამბებშიაც მოიპოვე-
ბოდა ქართული ხსოვები, საღაც ქართულს წიგნებს თუმც
არა ხშირად, მაგრამ ხანდისან მარც ბეჭდავლენ. ასეთი
იყო ფირალოების, მეფე გიორგის მდივნათ ყოფილის, ქარ-
თული გმოცემანი და ზოგიც სხვა წწიგნობართ ქარ-
თველთა; მაგრამ ამ სტამბებთა ცნობებს ჩვენ არ ვეხებით,
რაღანაც მათს არსებობას ჩერქის ისტორიის მასალებთან
დიდი რამ კავშირი მაინც და მაინც არა აქვთ, ამიტომ აქ
ამით ვათავებთ საუბარს და გადავდივართ XVIII საუკ.
იმერეთის სტამბის აღწერაზე. 1709 წ. თფილის ზი გახს-
ნილი სტამბა და ქართული წიგნების საქმე მთელი, სა-
ქართველოში ელვასავებ მოიფინა. იგი მრავალთათვეს
განდა სარკეთ და საყურადღებოთ, ნამეტურ ყურადღება
მიაქცის ბერძენ-იმერთა. დაბეჭდილი წიგნების რიცხვი
უცხათ იყლაპებოდა. რაც თფილის 1709—1713 წლ.
წიგნები გამოიცენ, იგი შარტოთ იმერეთის ერს არ ჰყო.

ფნიდა. მოხდა სენებულ წიგნების მეორე, მესა-
მე, მეოთხე და მეხუთე გამოცემა-კი საქართველოს გა-
რეშე მოსკოვს და პეტერბურგსაც. წიგნების დადა მო-
თხვნილება ისმოდა, წიგნები-კი მცირე იყო, ერთს თხო-
ვნას ვერ აქმაყიფილებდენ მხექვდავნი, ქაღალდის სიძლი-
რის გამო ყოველთვის ცოტას ბეჭდავდენ, ასეთმა გარე-
მოებაზ იმერთ დიდებულობა და მცირებულობა შორის უა-
დვილესათ გამოარკვია ჰაზრი და ნატვრა იმერეთში სტამ-
ბის დაარსების და წიგნების ბეჭდვის, ამისთვის იმერთა
თფალისში გამართეს მიწერ-ზოწერა. იგინი თფილისის
სტამბის გამეგეთ სთხოედენ საქმის მოწყობაში მხოლოდ
ხელის შეწყობას. ოუ ააშ სტამბის იარალი გაქვსთ მეტი,
შეგველეთ და დაგვითმეთო. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა,
საბეჭდი სტანციი რუსეთიდან მოიტანეს, ხუცური და ხე-
დორული ასოები-კი თფილისში ჩამოასხმევინეს. ბევრის
შრომის შემდეგ, 1785 წლებში, ქ. ქუთაისს გაიხსნა უკა-
ვე პირველი ქართული სტამბა. სტამბა მოაწყო თფილი-
სიდამ წასულმა რომანოზ ზუბაშვილმა, სტამბის კარგმა
ხელოსანზა, ვალახრიდამ მოსულ ოსტატებთაგან განსწავ-
ლილმა. ამ ხელოსანმა ამოწყობაც იცოდა და ბეჭდ-
ვაც. სტამბის მართვის საქმეში დიდის ენერგიით აღმო-
სჩნდა გენათის არქიმანდრი იტი ზაქარია. ხელოსნობაში,
ზუბაშვილის მარჯვენა ხელი ეს არქიმანდრიტი ყოფილა,
ამასვე უსწორება წიგნები დასაბეჭდათ, კორექტორიც ეს
ყოფილა. მხნე ოსტატმა სტამბის გახსნის უმაღლ ჩამდენ-
სამე იმერთ ახალგაზრდებს აწყაბა და ბეჭდვა შეასწავ-
ლა. მალე ამოწყობა და ბეჭდვაც დაიწყეს, 1787 წელს
უკავე გამოიცა პირველი იმერეთში ქართული წიგნი,
შემდეგ პირველის სხვა-და-სხვა წიგნებიც აღიბეჭდენ, ყველ-
ა გამოცემის ზედაპირზე, დაბეჭდილია მოხსენება იმერა-

თა მეფისა და კათალიკოზისა ისევე, როგორც ეს თფის
ლისში იქნეა შემოღებული თვით გახტაზ მეექსის დრო.
დგან. ლოცვაში, ეკკლესიაში მოსახსენებლათ, თავის.
ალაგას მოიხსენებიან მეფე, მათი უხელოესი ნათესავი და
კათოლიკოზი. საეკკლესიო წიგნებს ვაჩდა XVIII საუკ.
დამლევამდე რამდენჯერმე ქართული ნაბანია წიგნაკებიც.
დაუბეჭდავთ ლოცვებით.

მერეთის სტამბის და წიგნების ბეჭდვის ცნობები
მალე მოიტინა სამეცნიეროს მთავრებს და ეს შარის,
გურიაში, სვანეთში და სხვა ასეთ დაშორებულ კუთხე-
ებშაც. მაგალითის მიბაძვის ყელანი პირებდენ, ამა-
ბაში მოახლოედა XIX საუკ. დასაწყისა და მას თან შო-
ჰყენა სხვა-და-სხვა შინაგრი და გარეული ცვლილებან,
რამაც ზემოსხენებულ მთავრებს ხელიდამ გაძიაცალა მი-
მაბაძის ჰაზროვნება. იმერეთში, ქართული სტამბა ად-
რიდგანვე გაიხსნებოდა, რაღანაც ამრს საჭიროებას იმე-
თა დიდებული, როგორც ზემოთ ესთქვათ, XVIII საუკ.
დასაწყისიდამევ გრძნობდენ, მაგრამ ეს მათ ვერ უხერ-
ცდებოდათ, რაღანაც იმერეთზედ სასტიკათ მძლავრობ-
დენ მცრები, ამ ხანებში უძლურის სპარსელისაგან იმუ-
ნი ვაება ქართლსა და კახეთს არ ადგა, რაც ძრიელი
ოსმალეთისაგან იმერეთს. შედარებასაც ვერ გავტოდათ,
აღა-მამად-ხანი რომ 1795 წ. იმერეთს დასცემოდა, მე
დარწმუნებული ვარ, რომ შაშინ ეს უძლური ვერას გა-
აწყობდენ, იმერენი მთავათ დაულევდენ მათ, მგრინ ერ-
თი სპარსიც ვერ წასულიყო აქედამ ცოცხალი, მაგრამ
მათ ეს ასე არ შოუბდათ. მათ გაილაშქრეს უძლურს
ქართლზედ, სადაც 80 წლის მოხუცი მეფე მეფიობდა და
მისი. მძიმე და ბერულის მიმართულების ბევრის ჭამია გი-
ორები. თავისათ ვიტყვით, რომ იმერეთ მძლავრის ასმა-

ლის დაში შმინების და მურჩილებას შეოხებით იმოღონი საქვეგბი პირნდათ, რომ მათ სტამბის და მწიგნობრობის პატრიოტიზმისთვის სრულიად აღარაფერი დრო პქონ დათ, რომ ეზრუნათ. როგორც კი მოიპოვეს მათ მარჯვე დრო, აკი მაშინათვე მაფშუვნენ სტამბის საქმეს.

რადგანაც სტამბის არსებობა, ხარჯი და წიგნების ბეჭედი დაღს ძალას იხსოვდა, ამიტომ მეფე სოლომონის ბრძანებით სტამბის ზედამხედველ პატრიონით და გამგეთ დაინიშნა სარდალი ზურაბ წერეთელი. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმერეთში უაში გაჩნდა, ამის მიზეზით სტამბა ა. ჭავში გადიტანეს, სოფელს წესს და იქ გამართეს და წიგნები ბეჭედის. მაგალითებრ ქუთაისში სოფრონი ეპისკოპოზისაგან დაწყობილ „სადღესასწაულოს“ ბეჭედი წესს დაუმთავრებია ზურაბ წერეთელს 1811 წ. ა. ა. ვე სოტელში დაუბეჭდავთ „დაუჯდომედი ღვთისმიშობდისა“, და ზოგიც სხვა წიგნები. რუსთავები იმერეთის დამორჩილების შემდეგ სტამბა მაინც არ მოსპობილია, ზურაბ წერეთელს თავის მამულს საჩხერში გადუტანია და იქ უბეჭდავს წიგნები. მაგალითებრ საჩხერს ში გამოუყიათ „საზარება“ 1817 წ. სახარების ბოლოს მიბეჭდილია შემდეგი ცნობა: — „უფალნო და მმართ, მომისსენეთ მე მდგარდი, და უდინესი არსამანდრიტი გაენათისა, ცოდვიდი ზაქარია, რომელმან ფრიად შრომა თავს ვიდეს წმიდა ამის სასარებოსათვის; და მრავალთა დეკადათა აგვისტულე“ პირელ გვერდზე დაზედ მიბეჭდილია შემდეგი: — „დაძექენდა ესე სადმოთო სისარება საჩხერეს, სასასლეს, სასდომელების წერეთლისასად“ ქა ქუთაისა, 1807 წ. დაბეჭდილს. „დაეითნზე“ მიწერილია შემდეგი: — „დაიბეჭდეთ დეთივ სულიერი წიგნი ეს ფიაღმენთა სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს, პალატისა სამეფოსა უხვებეს სობი ის თავადის სახლთვეს ურეს ზურაბ წერეთლისათა, ხე-

დათა მესტამწე რაზმაძე რომანიშვილისათა. კამპი
გებელი და ზედამხედველი სტამბისა ამის მდგრადა არსიმან-
დორი ზაქარია, ფრიად მშრომელი მუშავობათა ვიღოცაჭ-
რათა მომასესენებდეთ“. აქ მოსხენებულ მესტამბე ზურაბის-
შვილს ზოგს წიგნებზე ზუსაშვილათ მოიხსენებენ, ნამე-
ტურ თფილისში, დაპეტრილს წიგნებზე. ამ ზუსაშვილს
გარდა იმერეთის სტამბაში სხვა ამომწყობი და მბეჭდაჭ-
ნიც ყოფილა, ხალო მათი ვანაობის ჩვენ არაფერი ვი-
ცით. როგორც სახის, ეს სტამბა 1820 წლების შემ-
დეგ დახურულა. სახგადოდ კი უნდა ვსთვეათ, რომ
იმერეთის სტამბის ცატორიის „იესახებ“ ჩვენ ერთობ მცი-
რე მასალები გვაქვს.

ზემოთ, ტფილისის სტამბების საუბარში ჩვენ ს-
დოდაშვილის სტამბის მოხსენებაზე შევჩერდით. უნდა
მოგახსენოთ, რომ XIX საუკ. დამდეგილან ტფილისში,
ერთი სტამბა არსებობდა, ჩვენის მფეფების დროიდან და-
შთქნილი ამ სტამბაში ქართული წიგნებიც იძექდებოდა.
თუმც იშეითავს. 1814 წ. გამოიცა ქართული სახარება
და პატირა წიგნები. 1829 წ. განსნილ ს. დოდაშვილის-
სტამბაზ დიდხანს ეერ გაძლო, ამ სტამბაზე 5000 მან-
ფული დაიხარჯა „ლვილ-მანაზონ ივანე ხელაშვილისა-
დამაარსებელთ დიდი სამხადისი ჰქონდათ, ამ სტამბაში
უნდა აღმცენილიყვნენ ყველა საჭირო სასელმძღვანელო
წიგნები, ის წიგნები, რაც კი 1817 წ. განსნილ სემენა-
რიაში იქნებოდა სახარებლად საჭირო და ისევ იმ
დროის „კეთილშობილთ სასწავლებელში“. იმავე სტამ-
ბაში გამოიცა გაზეთი „ტფალისის უწევება“ 1829 წ. და-
თვიური უუჩნალი 1832 წ. ამ წლის მეოთხე თვეს მო-
სპობილ იქმნა ეს სტამბა და მას გამგე პატრიონი რუსეთში
გარდასახლებული სამუდამოდ, იგი რუსეთიდან საქართ-

თველოში ვეღარ დაბრუნდა. ამ სტამბის შემდეგ ტურ-
ლისში გაიხსნა სხვა სტამბა, აშტარხანელ სომხების ძმარა
არზანოვების, სალაც ჭართული ასოებიც მოათავსეს. ამ
სტამბაში 3. ოსველიანმა დაბრედა შავთელის და ჩახრუ-
ხაძის პოემები. ეს სტამბაც მცირე ხანს დაშთა. აქ ნდა
ესთქვათ შემდეგი: ხსენებული სტამბის პატრონნი სომე-
ხები იყვნენ.

ხაქართველოში პირველად ამ სტამბაში დაიბეჭდა
სომხური წიგნი, ესე იგი 1833 წ. მინამდის საქართვე-
ლოში სომხური წიგნების ბეჭდების საქმე კი არა,
ხსენებაც კი ჭავანებათ არ ყოფილა. პირველი მაგალითთ
იყო ეს, მათ დასტამბეს სომხური ლოცვის წიგნები და
სასწავლებელი წიგნები, სხვათა შორის მათ დაბეჭდეს
„ჩერსესის ლორგებირ“ ქართულის ასოებით, ხოლო სომ-
ხურის სატყვებით, რათა ამით იმ დროის საქართველოს
ქართველ გეარის სომხებში სომხური ენა უადვილესათ
განევრცოთ. ამით იგინი არ შეცდნენ, მათ ბრწყინვალე
დარი დაუდგათ, საქართველოში აღ-დგინდს სომხური ენა,
რაც შეეხება წიგნების ბეჭდვას, ესეც ხომ ყველასთვის
ცხადია, ვგონებთ საუბარი და მტკიცება არავის მოუნდება,
ყველაფერი თეალით სჩანს, თუ ჩვენ ქართველთ დაკვირ-
ვება და შედარება გვექმნება. ქართული ბეჭდვის ისტო-
რია საქართველოში 1707 წ. იწყება და სომხებისა 1833 წ.
ამა იხლა ჩვენი დღევანდელი ბეჭდებს საქმე მათსას შეე-
დაროთ, მათი ჩვენზე ბევრათ ბევრი გამოვა. ზემო ხსე-
ნებული სტამბის დახურვის უმაღ შეძენილ იქმნა იმ
დროის სომხეთ ნერსესიანის სემენარიისაგან, რომელ სე-
მენარიაც პირველად გაიხსნა საქართველოში 1830 წ. ამ
დრომდის, საქართველოში არამც თუ სომხეთ სემენარიის
ხსენება, არამედ უძრალო სამრევლო სასწავლებლის ჭა-

ქანტებაც კი ასად იყო. შავრამ აბა დღევანდელ პოიებს ჰკითხეთ ამის შესახებ, თქეენ ნახათ იგინი რა პასუხს მოგცემენ: ანი ქალაქის კედლები ლამის მცხეთას აღავან, ჰაოსის საფლავსაც ტფილისში სძებნიან. მიტომაც გადა-აკეთეს ქართულ დედა-ქალაქ ტფილისის სახელი—ტფხი-სად და ახალციხე — ახსიათ.(!)

სხენტებულს სემენარიის სტამბაშიაც იყო პოთავესე-ბული ქართული ასოები, აქაც ბეჭედაგლენენ ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა განტხადებებს, ქართული წიგნები კი არა დაჩეკდილა-რა, ერთავად სომხურს წიგნებს ბეჭედაკ-დნენ. ამ სტამბამ ჩაუდგა საქართველოს სომხობას სული, თორემ მინამდის სომხები საქართველოში ცარიელ ჩონჩხს წარმოადგენდნენ. 1845 წ. ეს სტამბაც მოისპო. 1846 წ. საქართველოში მოიცა ვორონცოვი. 1850 წლებში, ქართველი შორის ასტყადა საუბარი ქართულის დრო-გამაშვებითი გამოცემის შესახებ. გამოცემას მრავალნი ნატრობდნენ. ვორონცოვმა მაღლ დართო თვიური „ცა-კრის“ გამოცემის ნებართვა. 1852 წ. გ. ერისთავის რე-დაქტორობით „ცაკარის“ იწყო გამოსვლა. უურნალის გამოსაცემად რედაქტორმა ჩუქებით სტამბის იარაღიც შეი-ძინა იმ დროის მთავარ-ზართუბლის სტამბილან, „ცაკარის“ დაწყებისთანავე სტამბაც გახსნა, მაგრამ „ცაკარი“ 1854 წ. ბოლოს მოისპო. და 1855 წ. სტამბაც დახურა. 1856 წ. „ცაკარი“ ივ. კერძესელიძემ განაახლა, სტამბაც ნისიათ იყიდა 900 გ. 1857 წ. ამ სტამბაში დაწყო „ცაკარის“ გამოცემა. ერთ წელიწადს 300 გ. უნდა მიყ-ცა, მეორე წელიწადს 600 გ. მაგრამ ვეღარ მასცა. გოორგი ერისთავმა სტამბა დაუბეჭდა, „ცაკარის“ გამოცემა ერთ თვეს შეუჩერას იყ. კერძესელიძემ დიდის წვალებით უუ-ლი იშვნა და გ. ერისთავს ჩააბარავ სტამბა განთავიზ

სუფლდა. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ეს სტამბა გ. ერის-
თავს ვორონცოვას წყალობით მუქთათ ეჩუქა მთავარ-
მართებლის სტამბილან, სტანციი ხისა ყოფილა, მესამე
წელიწადს გატეხილა. მერე სხვა რეინის სტანციი გა-
მუშარება. ამაზე აი რა მიამბო ივ. კერძელიძემ:

„სტამბის შეძენის მესამე წელს სტანციი გამიტყდა,
აღარ ვარგოდა, მის ვალისაც 300 მ. გარდასხდილი
მქონდა. ეურნალი მიჩერდებოდა. ერთ საღამოს ჩემს
სახლში დავპატიჟე გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, გ.
მუხრანსკი, ივ. მუხრანსკი და ბევრიც სხვა ქართველი
გენარლები. დანიშნულს დროს, ფაიტონი ფაიტონზე
გრია ლით მოდიოდა, პოლიციასაც შევატყობინე, რომ
მგზავრთათვის სახლის გზა ეჩვენებინათ, შეკრების შემდეგ
მე მათ სტანციი შეძენაში დახმარება ვსთხოვე. ეს მათ
მომზიხერხეს. მალე სტანციი გამოვიწერეთ და სტამბა გა-
ნვაახლე.“ ივ. კერძელიძემ ამ სტამბაში ბეჭდა „ცის-
კარი“ და ცყველა თავის გამოცემანი. ეს სტამბა მას კარგა
ხანს კვრია. 1873 წ. ექვთიმე ივანეს აე ხელაძეს მისყიდა,
ექ. ხელაძის სტამბა დღესაც არსებოს. ამ სტამბას სა-
კმარისი დღაწლი მიუძლვის ქართულს მწერლიაბაზე. ამ სტამ.
ბაში დაბეჭდენ ძრივლ ბევრი საისტორიო წიგნები. აქ
დაბეჭდენ ისეთი წიგნებიც, რომელნიც ქართულს მწერ-
ლობაში პირველად იქმნენ ალბეჭდილნი. მაგალითებრ: —
ქადაგისა და მასა, გამოც. ზრიგოლ გურიელისა, ფისტა-
მიანია, «მზა მეტყველება» და ბევრიც სხვა წიგნები. ამას
კარგა აქვე იბეჭდებოდენ ქართული დრო გამოშვებათი
გამოცემანი, გაზეთები და უზრინალებიც, დღესაც ბევრი
წიგნები იბეჭდება ამ სტამბაში.

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბას ერთი დიდი სამსახუ-
რიც მიუძლვის ქართველთა წინაშე, ნამეტურ ქართველ

გამომცემლებთა, რომელთაც-კი ქართული წიგნების გა-
მოცემა იწყეს 1873 წ. შემდევგისამ. ა. ერთა, თვით მე,
ექ. ხელაძის სტამბა რომ არ ყოფილიყო მაშინ, იქმნება
წიგნების გამოცემის მთხერხებაც ვერ შემძლებოდა, რაღ-
განაც მაშინ თფილისში სულ ოთხი სტამბა იყო, სამს
სტამბაში ჩემისთანა ღარაბი კაცი ფეხს ვერ მიღვამდა,
რადგანაც ყველა ამ სტამბებში წიგნების საბეჭდს ფასს
ისე იღებდენ, როგორც რუსეთის ქალაქებში. ჩვენ, ახ-
ლად დამწყობნი ქართულის სახალხო წიგნების ბეჭდევი-
სა, აბა როგორ მოეახერხებდათ ასეთ ფასებია ძლევას,
მაგრამ ბ. ექვთ. ხელაძემ წაგვახალისა, ამოწყობას და
ბეჭდევას ისეთი ფასები დაადო, სხვა სტამბის საბეჭდს
ზომაზე ისე დააპატარავა, რომ ყოველი ჩვენთაგანი აღ-
ვილათ ჰკიდებდა რამე წ-გნის გამოცემას და ბეჭდავდა.
ბ. ექ. ხელაძის მიხედვით შემდეგ სხვა მესტამბებმაც და-
აკლეს ბეჭდევის ფასებს.

ესე რომ არ მოეხერხებინა ბ. ექ. ხელაძეს, მაშინ
ჩვენ, ქართველი გამომცემელნი, ბევრს ვერას გავაწყობ-
დით. პირველი: მაშინ საბეჭდი ქალალდიც ძვრი იყო,
რასაც მაშინ ოზმას 4 მან. ცყიდულობდით, დღეს ის 2
მან. ლიჩს, გარუა ამინა წიგნების ბეჭდევაც ახალი საქმე
იყო, საქართველოში სახალხო წიგნების ბეჭდვა პირვე-
ლი მაკალითი იყო, ჯერ საიმისოდ არა იყიდებოდა-რა,
თითო გამოცემა რაზდნენსამე წელიწადს რჩებოდა, როს
წვალებით და ვაივაგლახით ვრცელდებოდა, ზოგი მუქ-
თათ რიგდებოდა სოფლებში, ზოგი აქა-იქ ქალაქებში იგ-
ზავნებოდა და იქაც იკარგებოდა ისე, რომ გამომცემელს
ყოველთვის სხვა საქმეებიდამ უნდა ეღო ფულები და ახალ-
ახალ გამოცემებზე უნდა ეხარჯა, წიგნები კი ხალხში
მუქთათ, უნდა ერიგებინა, რომ ამის მეობებით სა-

მერმისოდ ხალხში წიგნების კითხვის სიყვარული აღმარ-
ძინებულიყო, თუ ეს ორა, უმისოდ არა გაკეთდებოდა-
რა, ივით ბ. ექვ. ხელაძეც ბეჭდავადა ქართულს სხვა-და-
სხვა წიგნებს. იგი დღესაც ბეჭდავს საკუთარს გამოცემაებს.
მე კარგათ მახსოვს, რომ 1875 წ. პ. უმარაშვილმა და
ექ. ხელაძემ, სკოლის-ცხოვლობის დღესასწაულ დღეს
თფილისიდამ ერთი ტომარა ქართული წიგნები წაიღეს
გასახყიდათ, მაგრამ იქ სულ 3 მან. ვერ გაეყიდნათ, ისიც
ნაცნობებს ეყიდნათ. ხალხი ამას არ მისდევდა. ასეთი
იყო მაშინ ჩენი მწიგნობრობის და გამომცემლობის მდგო-
მარეობის საქმე. ამას რომ ექ. ხელაძის სტამბა არ მოვ-
ლენდა, იგი მაშინ საკმარისად შეფერხებული დაშთე-
ბოდა და იქნება პევრს ეელარც-კი გამოეცა წიგნი.

ამ სამარაჟისოდ მოსაგონარ საქმეს გარდა ამ სტამ-
ბას და მის პატრიარქ ერთი ქავა სამსახურიც მიუძღვის
ჩენის ტომის და ნამეტურ სამღვდელოების წინაშე, პა-
გალითქმა: 1887 წ. თფილისის უმაღლეს სამღვდელო
პირებთ შორის აღიძრა კრთხვა ქართულის საეკულესიო
წიგნების ბეჭდვაზედ, რაღანაც იმ ღრომის საეკულესიო
წიგნებმა ველარ მოაღწიეს, აღრე მოსკოვში დაბეჭდილნი
ეკკლესიებში ხშარებისაგან გაცვდენ, მთლად დაითხრიშ-
ნენ. გარდა ამისა ეკკლესიების შენებაც გამრავლდა. საქმე
კინაღამ ისე მოხერხდა, რომ ამ წიგნების ბეჭდვა აღრინ-
დებულიათ მოსკოვში უნდა გადაეტანათ, სადაც ვინ იცის
რაგენ და რანაირით დაბეჭდებოდენ. ეს გარემოება
ბევრს ეწყინა, განა დღეს ჩვენი სტამბები იმოდენად არ
უნდა იყოს დაჯილდოვებული, რომ თფილისში მოვახერ-
ხოთ სალმრთო წერილის წიგნების ბეჭდვაო! ეს რასა
ჰგავსო. მრავალნი უკუღმართი ისეთ აზრების იყვნენ,
რომ ვითომეც თფილისში ვერ გამოსცემენ ისე, როგორც

შოსკოვსო. ამ გარემოებას მკაცრათ აღუდგა წინ ექვე-
ხელიძე, რუსეთის სტამბების ფასს საქმარისად დაუკლო-
და საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა მან რთხოვა,
ზოგმა ეჭვი განუტადეს, ვერ გამოსუქმო. ამან პირობა
მისცა ასე: პირველი—იაფათ დავბეჭდავ, მეორე—თუ-
ლისში უფრო კაი კომისია შესდგება, რომ წიგნების კო-
რექტურა კარგით შესწორდეს. მესამე—თვით დელნებიც
შეიძლება გაუმჯობესდეს და განხილულ იქმნეს მურდნე
პირებთაგან, მეოთხე—ამისთვის მე გირავნობას შემოვიტან
სინოდის კანტორის წინაშე, რომ თუ ყოველივე ასე არ
აღსრულდეს, თფილისში უფრო უკეთესად არ გამოიცეს
ქართული საღმრთო წერილის წიგნები, მაშინ მე ჩემს
გირავნობაზე ხელი ავიღო, ჯარიმაც გადავიხაულ. ბევ-
რის შრომის და სჯის შემდეგ დაადგინეს, რომ ქართუ-
ლი საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა თფილისში იქ-
მნეს დაწყობილი და არა მოსკოვს, როგორც ეს მანამ-
დის უნდოდათ ზოგიერთ პირებს.

ამ საქმის წინაშე სამსახურის გარდა პ. ექ. ხელიძემ
ქართველთ ამომწყობლებსაც კაი სამსახური გაუწიო, რომ
ასეთი დიდი საქმე თფილისში მათ გისაკეთებლად გახა-
და. საღმრთო წერილის წიგნების ამოწყობის და შეშაო-
ბის ფული აამდენსამე ხელოსანს ქართველს საყოველ-
თავოთ დაარჩენს ცოლ-შეილით. დღეს. ქართულის საღ-
მრთო წერილის საბეჭდ სამკილრო ბინათ თფილისის
სტამბები ითვლება.

ამასიან პ. ექ. ხელიძემ ბეჭრი სოფლელი ყმაწვი-
ლებიც დაზარდა, სტამბის ხელობის ცოდნა მათ საუკეთე-
სოდ შეასწავლა. ყველა სტამბებში დღეს ამისაგან და-
დილი შეგირდები ამზევნებენ ოვეინთ საქმეებს და მასთან
ქართულ წაგნების ბეჭდესაც. უნდა ითქვას, რომ ზოგს
მათგანს საკუთარი სტამბაც აქვს, თვითით საქმეებსაც კარ-
გათ უძლვებიან, ხანდისან ქართულ წიგნებსაც ბეჭდავენ.

პ. ექვთიმე ხელაძის სტამბის გახსნამდე ტფილისში
არსებობდა ებრაელის დუბელირის სტამბა, მერე ეს სტამბა
გიორგი წერეთელმა შეიძინა და „კრებული“ და „ლოგ-

ბა” იქ ცბეჭდებოდა. ეს სტამბა გიორგი წერეთლის ხელში რამდენსამე ხანს დარჩა, შემდეგ ისევ პატრონის ხელში გადაიდა. მერე ეს სხვამ შეიძინა, ავლაბარში გადაიღანეს და იქა ცბეჭდავდით წიგნებს. ამათსაც დროს ტფილისში ასევებობდა უურნალ „მნათობის“ სტამბაც. მაგრამ იგი მცირე ხანს დარჩა.

1860 წლებში ქართველთ თვალი გაახრცეს, მასთან მათ საჭიროთ დაინახეს „ცისკარს“ გარდა სხვა უურნალის გამოცემაც, უურნალისთვის სტამბაც იყო საჭირო, ივ. კერძელიძის სტამბა ყველას ვერ აქაყოფილებდა, სტამბას გახსნა-კი ძნელი საქმე იყო, ამიტომ 1862 წლს მეწიგნე ეფარჯიშონცის ძმამ თავის სტამბაში ქართული ასოებიც მოათავსა, 1863 წ. აქ გამოიცა „საჭართველოს მოამბე“. დღეს ეს სტამბა ტ. როტინიანცს ეყუთვნის, სადაც „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვა და სხვა ქართული წიგნებიც იძებელება. „საჭართველოს მოამბის“ და უურვის შემდეგ ქართველთ გაზეთის გამოცემაზე დაიწყეს თაბირი. გაზეთის გამოხაცემად სტამბაც იყო საჭირო, ამიტომ რამდენიმე კაცი შეიყარა ერთათ: დ. ბაქრაძე, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, სტეფ. მელიქიშვილი და რამდენიმეც სხვა პირი და 1865 წ. თფილისში სტამბა გახსნეს, სადაც ქართული ასოებიც მოათავსეს, გაზეთისთვის სულ ახალი ასოები ჩამოასხმეულის და 1866 წ. მარტადამ „დროების“ ბეჭდვაც დაიწყეს. ამ სტამბაშიაც ბევრი წიგნები და უურნალ-გაზეთები იძებელებოდა. დღეს ეს სტამბა „ქართველთ წიგნთ გამომცემელს ამხანაგობას“ ეყუთვნის, სადაც დაიძებელნ აკაცის ნაწერები, ილ. კავკავაძისა, ყაზიბეგის, პეტრიაშვილის და ბევრიც სხვების. დღეს „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“ აქ იძებელება.

ჩაც ნელ-ნელა დრონი მიფრინავდენ, მით დაძრნებული ქართველებიც გმოვხიზლებას ეძლეოდენ. მწერ-

ლომბაც შესაფერს სულსა და ხორცს ისხვესა, რიგიან
მწერლებმაც მრავლათ იწყეს თავის ჩენა. წიგნების ბეჭდ-
ვაც გაჩირდა, ამ სინაზის სტამბის უქანლობა და სა-
ჭიროებაც თვალ-ხილულათ ემჩირდა. 1884 წლებში,
თფალისში გაიხსნა ახლი ქართული სტამბა გრ. ჩარკ-
ვიანი, არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის. სტამბის მო-
წყობილება ძევლი იყო, მაგრამ საქმეს მაინც უძლვებო-
დენ. ამ სტამბაში დაიბეჭდა ვახუშტის ისტორია, დიმ.
ბაქრაძის რედაქტორობით, საბა ორბელიახვის ლექსიკონი
და ბევრიც სხვა წვრილი წიგნები. ერთ დროს გაჩეთი
„დროებაც“ აქ იბეჭდებოდა, უკანასკნელ სტამბის საქმე
აირ-დაირი, ამხანაგებმა კინაღამ ერთმანერთი დავაძეს,
ერთი წელშადი დაკეტილი იყო, მერე ესენი მოარიგეს
დ. ბაქრაძემ, ჩატ. ერისთავშა, იმს. ბაქრაძე და მე. სტამბა
ორათ გაიყო: ერთი ნაწილი არს. კალანდაძეს არგუნეს,
მეორე გ. ჩარკვიანს. უკანასკნელის დღევანდლ-მჟე არ.
სებობს თფილისში — აქ იბეჭდება სხვა და სხვა ქართული
წიგნებიც. მეორე ნაწილი დეკანზმა დავით ლამბაშიძე
შეიძინა და ქუთასს გადაიტანა, საღაც დღევანდლიძილი.
საც არსებობს ეს სტამბა. 1891 წლებიდამ კვალიაზ მოე-
ზატა ერთი ქართული კარგი სტამბა. ეს სტამბა გახსნეს
მაქსიმე შარაძემ და მიამა უანგარო მუშაკ ამხანაკერძა:
ესტ. კერძესლიძემ, სფ. ლოსაბერიძემ და ვას. გდელიძემ.
ამ სტამბის გახსნა და მის უანგარო მუშაკი ძალათ მეტა-
დინებობამ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ქართველობას.
დღეს აქ სტამბაში იბეჭდება აუარებელი ქართული წიგ-
ნები, აქ იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები, ჩემი,
თვით სტამბის ამხანაგობის და ბევრიც სხვების. «ქვე
იბეჭდება გაზეთი „ივერია“ და ხანდისხან სხვა და სხვა
დრო გამოცემანც». დღეს თვეოლისში თხხი ქართული

სტამბა არსებობს, სადაც ნახევრამდის ქართული წიგნები
და საქმეები იძეჭდება. უნდა ესოქვათ, რომ დღეს არც
ეს სტამბები პყოფნის ქართველთ და ამ სტამბებს რომ
ერთი სხვა დაი სტამბაც მოემატოს, მაშინაც-კი საკმა-
რისი იქმნება მათოვის საქმე, რადგანაც ხშირად ხსენე-
ბული სტამბები ვერც-კი ასდიან საქმეების შესრულებას.

მაშასალამე მკითხველი აშკარათ მიხედება, რომ
ჩეენში, რამდენიც დრო გადის, იმდენი მწიგნობრობის
საქმეს წინ მიდის და სტამბის მოთხოვნილებაც ემატება.
სტამბა და წიგნის ბეჭდვის საჭიროება თუილის გარეშე,
საქართველოს სხვა კუთხეებსაც დიდათ დაეტყო, ასეთია
ნამეტურ იმერეთი. ქუთაისში მთავრობისაგან გახსნილი
სტამბა 1850 წლებიდამ არსებობდა, ამ სტამბაში ხან-
დისხან ქართული წიგნებიც იძეჭდებოდა, მაგრამ ეს არ
კმაროდა, 1880 წ. იქ გაიხსნა მეორე სტამბა სადაც
ქართული წიგნების ბეჭდვამაც კარგათ იჩინა თაერ.
1875 წლების შემდეგ იმერეთს უფრო ემცნეოდა წიგ-
ნების ბეჭდვის მოთხოვნილების საჭიროება, იმერთ შო-
რის ზოგიერთებმა იწყეს სხვა და სხვა წიგნების გამოცე-
მა ჭ. ქუთაისს. ამ გარემოებამ სხვა სტამბის გახსნაც მო-
ითხოვა, მალე გაიხსნა იქ მ. გამრეკელის სტამბა, სადაც ერთ
დროს გაზეთ „შრომაც“ იძეჭდებოდა. აქეე დაიბეჭდა „ვე-
ფხას ტყაოსანი“ სახალხოთ, ახალის სახის მექონ ასოებით,
რომლის ყალიბების ჩამოსხმა და ასოების შემოლება კ.
ლორთვითანიდეს ეკუთვნის. ეს ასოები დაწუნებულ იქმ-
ნა ქართველთაგან, ამიტომ იგი დაშთა უხმარებელ. ერ-
თის შეხედეთ ეს ასოები ბერძნულ ასოებს ჰგავს, კაცს
თვილს უკრელებს; ამას ბევრათ სჯობია ის ახალი ასოე-
ბი, რომლის ყალიბები ნიკოლოზ ნიკოლაძემ პარიზში
გააკეთებინა, ასოებიც ჩამოასხმეუინა და საბეჭდათაც ვცა-

დეთ, მაგრამ ვერც იგი აღმოჩნდა ჩეენს. ფარსაგათ: შე-
დარებით-კი ეს უნდა სჯობდეს ზემოხსენებულს და ქუ-
თაისში შემოლებულს. ეს სტამბა შემდეგ გადავიდა პ. წუ-
ლუკიძის ხელში. ხსენებულ სტამბას შოჰიუკა ბ.. ფერაძის
სტამბა, სადაც ქართული ასოებიც მოათვარეს და წიგნე-
ბის ბეჭდვაც დაიწყეს.

იმერეთში ყველაზე დიდი შრომა და სამაგი გამოი-
ჩინა დეკ. დ. დამბაშიძის სტამბამ, სადაც დღევანდლამდე
იბეჭდება სასულიერო გაზეთი „მწყემსი“ და აკაკის თვი-
ური უურნალი „კრებული“. აქვე იბეჭდება სხეა და სხვა
სასულიერო დიდობრი წიგნები, ხშირათ. წვრილი წიგ-
ნებიც, სახალხოდ, კაპეიკიდამ დაწყობილი 10' კაბ, ზოგი
ჩეენის ისტორიიდამ და ზოგც საღმრთო სჯულის ისტო-
რიიდამა. სტამბის დაარსებამ და წიგნების ბეჭდეამ დიდი.
საქმე, დიდი სამსახური დათვესეს, იმერეთის ერთი წიგ-
ნების კითხეა და სიყვარული უადვილესათ აღაფრთოვა-
ნეს, თვილისის მაწანწალა გაქრების წიგნებსაც იქით
გზაში გადაელობნენ. ამ სტამბის შემდეგ ქუთაისში გარ-
სნა ივ. კილაძის და იოს. ხელაძის სტამბა, სადაც იბე-
ჭდება დრო და დრო ქართული წიგნები. აქვე გამოიცენ
ქუთაისის ამხანაგობის გამოცემანი. ქუთაისის ოთხ სტამ-
ბას მაღლე მეხუთეც მოემატა, ეს იყო იღ. კუონის სტამბა,
სადაც იბეჭდებოდა გაზეთი *«მეურნე»*. სხვა და სხვა გარე-
მოების მეობებით ამ სტამბამ დიდხანს ვერ შეძლო არსე-
ბობა და მიტომ იგი შეძენილ იქმნა ბ.ბ. კილაძისა და
ი. ხელაძისაგან, დღეს ქუთაისში სულ ოთხი სტამბა არსე-
ბობს, ქუთაისში ამსზე მეტი ვეონებთ ჯერ საჭიროც არ
იქმნება. რაღანაც იმერეთ შორის ყოველს დაბასა და ქა-
ლაქშიაც იღვიძებს სტამბის გახსნის საქიროება, მაგალი-
თად, საქმე და მიმბაბაობა რაც წავიდა მათ შორის, რომ

1887 წ. კონია ჩითანის ძე თავართქილაძემ თვით თხურ-
გეთშიაც გახსნა ქართული წიგნის საბეჭდი სტამბა. ამ
სტამბის გახსნის საქმეს გრ. გურიელი დიდის სიხარულით
მიეღება. პირველ დღესვე შებრძანდა სტამბაში და ასოთ-
ამწყობს ასე უთხრა: — „რას გსედავ ამას, რამასც მოვალესწარ,
რომ გურაში, ოზურგეთში, სტამბა გნაერ. ამ; თქვენი მარ-
ჯვენას გა კენარეადე, თქვენი მარჯვენას, რითაც კა შისურ-
გები და დამავალებთ, მე შზათა კარ, რომ ურავლთვის გემ-
სასუროთ“. ამ სტამბაში გამოიცა „ვეფხის-ტყაოსანიც“¹—
კი. სხვა და სხვა წვრილი და დიდობის წიგნებიც, გუ-
რულები ჩეარა შეეწივნენ სტამბის ხაქმების. მათში მალე
ჩეეულებათ წაკიდა ქორწინების და მოცვალებულთა ამ-
ბების განტხადებათ ბეჭდვა. კ. თავართქილაძემ ამ სტამ-
ბის გახსნით დიდი სამსახური გაუწია კერძოთ გურულებს
და საერთო ქართველებს. ეს ენერგიული კაცი მარტოთ
თხურგეთის სტამბას არ დასჯერდა, იგი გადავიდა სამეც-
რენოში და დ. სენაციაც გახსნა ქართული წიგნების
საბეჭდავი სტამბა, სადაც მრავლად იწყეს წიგნების გა-
მოცემა. კ. თავართქილაძის გარდა სტამბის ადვილათ პო-
ვნის მეოხებით სხვებმაც იწყეს დრო და დრო წვრილი
წიგნების გამოცემა. სენაც შემდეგ ამავე პირმა და ალფ.
მიქელაზეილმა ბათუმშიაც გახსნეს ქართული წიგნების
საბეჭდავი სტამბა, სადაც პირველად გამოიცენ ქართული
წიგნები. ჩვენს ძველებს რომ სმენა პქონდესთ, მაშინ
იგრინ ბათუმში ასეთი სტამბის გახსნით მგონა გაიხარებ-
დენ. ამათ სტამბის გახსნამდის პათუმში შახარაძესაც პქო-
ნდა სტამბა, სადაც მცირედ ქართული მსოფლიც იყო, იგი
უფრო რუსულ საქმეების კეთების მისდევდა. კ. თავართ-
ქილაძის სტამბის გახსნიმ ბათუმში ბევრნაირათ იმოქმე-
და, იმედია იქ წიგნების გამომცემლობაც წარმატებას მია-

ეცემა, ამის ნიშნები ჩვენ უკვე ენახეთ: წიგნთ გამომცემ-
მელ ამხანაგობა „გლეხმა“ პირველად ბათუმში ამ სტამ-
შილამ დაიწყეს გამომცემლობა,

ზემო ხსენებულ სტამბებთ გარდა ფოთსაც ეღირსა
სტამბა და 1890 წლებში, იქ გახსნა სტამბა ლევრენტი
ტულეშმა. ამანაც მოათავსა ქართული ასოები, ქართული
წიგნებიც გამოსცა. მ: გალითად იქ დაიბეჭდა ვრცელი
საექიმო წიგნი „სიმრთელის კიდობანი“, ორი წიგნი ქარ-
თულის პიესებისა და რამდენიმეც სხვა წვრილი წიგნები.
ამავე სტამბის პატრონმა პატარა სტამბა ზუგდიდშიაც
გახსნა, სადაც დღევანდლამდე არსებობს. ზუგდიდის შე-
მდეგ სოხუმშიაც გახსნეს სტამბა, სადაც სანატრელია,
რომ ქართული წვრილი წიგნების ბეჭივაც დაიწყონ.
ასეთსავე საჭიროებას შეადგენს ახალციხეში ქართული
სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭივაც. ეს არის რიცხვი
დღევანდლის იმერეთის სტამბების და რაც ტრო გადის
მით მათი მოთხოვნილებაც ერთი ათად მატულობს. ქარ-
თლსა და კახეთში კი ეს ასე ვერ მაღის, თუმცა ექვთიმე
ხელაძის წყალობით პატარა სტამბები თულავსა და სილ-
ნალსაც გაიხსნა, სადაც დღევანდლამდინაც არსებობს,
ორივე ქალაქის სტამბებში წიგნებიც დაიბეჭდა ადრე.
ჩვენ გვევონა, რომ იქ სხვა-და-სხვა გამომცემლებიც იჩენ-
დნენ თავს, მაგრამ რამდენიმე წიგნაკების გამოცემის შე-
მდეგ იქ სხვა არავინ გამოჩნდა, არავინ რა დაბეჭდა:
ხსენებულ ქალაქების საქმეთა მრაწყობას არც გორი ჩა-
მორჩა, აქ სტამბა გახსნა არ. კალანდაძემ, ეს სტამბა
დღესაც არსებობს, ქართული ასოებიც აქვს, პირველ
წიგნათ აქ გამოიცა „მიბაძვა ქრისტესი“ თომა კემფე-
ლისა, თარგმანი პატრის ანსელმო მღებრიშვილისაგან.
ჩვენ სრული იმედი გვჭინდა, რომ ამ სტამბიდან სხვა

წიგნებიც გამოიცემოდნენ, მაგრამ ეს ასე არ იქმნა, იქ ზენებულის წიგნით შეჩერდა გამოცემა. უკანასკნელს წლებში, თვით კავკავის ქართველთაც იგრძეს ქართული ასოების საჭიროება, კავკავის ერთმა უცხოელმა მესტამბეგ ქართული ასოებიც გაიჩინა და იქ ორი ქართული წიგნაკიც დაიბეჭდა. იმდღია შემდეგ სხვებიც მიზანი ამ სამაგალითო საქმეებს და წიგნების გამოცემას განაგრძობენ. სხვა-და-სხვა გარემოებამა და შემთხვევებმა ქართული სტამბების დახსნის საჭიროება საქართველოს გარეშე, უცხო ქვეყნებშიაც იქმნა გამოწვეული. მაგალითები: 1850 წ. ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, სადაც არსებობდა ს.ომებ-კათოლიკეთა მხითარისტების სტამბა, იქვე პეტრე ხარისჭირაშვილის მეოხებით ჩამოსხმულ იქმნა ქართული ასოების ახალი ყალიბები, მით ახალი ასოები და იმავ დროს წიგნების გამოცემაც იწყეს. შემდეგ ეს ასოები იქიდამ პ. ხარისჭირაშვილმა კოსტანტინეპოლის გადმოიტანა, თავისაგან აღშენებულს მონასტრის ზღუდეთა შორის ერთს სახლში მოათავსა 1870 წ. ეს სტამბა დღევანდლამდე არსებობს. კოსტანტინეპოლის შემდეგ, პ. ხარისჭირაშვილის მეთაურობით ახალი ქართული სტამბა მონთობაზიაც მოთავსდა (ფრანცია), სადაც ქართველ კათოლიკეთ ბერების მეოხებით რამდენიმე ქართული წიგნებიც გამოიცენ. როგორც ვიცით, დღეს ამ სტამბებში წიგნების გამოცემის საქმე შეჩერებულია, პეტრე ხარისჭირაშვილის სიკედილით საზღვარი მიეცა ასეთ საქმეთა წარმატებას. სამწუხაროა ასეთი დიადი საქმის მომავალში დაკანინება. ამ ადგილებთა გარდა 1832 წ. პარიზში აკადემიკმა მარტინ ბრისე ქართულ-ფრანგულის ასოებით ლიტოგრაფიულის, ბეჭდვით გამოსცა ქართლის ცხოვრების ნაწილი, რომელსაც ჩვენში ამ ისტორიის

„პარიუის ქრონიკა“ ეწოდება. 1845 წ. ტრიესტში, ლი-
თოგრაფიულის ბეჭდვით, გამოიცა ქართული წერის დე-
დანი, შედგენილი რარას არქიმანდრიტისაგან, ვისი გა-
მოცემა არის ამჩინი ჩეენ არა ეცით-რა.

XVIII საუკ. სტამბეგთა აღწერაში ჩეენ არ აენიშ-
ნეთ შემტევი: 1795 წ. უბედურების შემტევ, როგორც
ნათვამი გვაქვს ზემოთ, თფილისში, ქართული სტამბა
მალე განახლდა ისე, რომ 1796 წ თფილისში ორას-მი
ვრცელი ქართული წიგნიც გამოიცა. განახლებულის
სტამბისთვის რუსეთიდამ გამოიწერეს სტანკები და ზო-
გიც სხვა იარაღი. ერთი სტანკი, მეფის ბრძანებით
თფილისიდამ სომექთ კათალიკოზს ლუკაზს გაეგზავნა სა-
ჩექრათ, რაღაცაც 1795 წ. მტრისაგან ეჩმიაძინის სო-
მექთ სტამბაც იქმნა შემუსვრილი. ამ სტანკის გაგზავ-
ნის შესახებ პ. ოოსელიანსაც აქვს ცნობა.

მეფე ერეკლეს და სომექთ კათალიკოზს ლუკაზს
(1780—1799 წ.) შორის ღიღი მეგობრობა ყოფილა გა-
მართული, ამათ ერთმანერთისთვის ზშირად წერილები
უგზავნიათ. ხანდისხან ერთმანერთს დახმარებიან კიდეც
უკაშისობა, რასაკვირვეულია, არც შეიძლებოდა. ამ უკანა-
სკნელ წლებში, ეჩმიაძინის სომექთ კათალიკოზის ძველ
წიგნებია მდივან ხანაში აღმოჩნდა დიდალი წერილები
შეფეხ ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზის ურთმანერთიან
მიწერილები. ყველა ეს წერილები ერთათ შექრიბა სომექ
მოძღვ. აღნიანმა და 1899 წ. თფილისში ცალკე ტომად
ტქისტამბა. ამას ეწოდება «მდივანი სომხეთის ისტორიისა»
(1780—1800) სხვათა მასალებითა შორის აქ მოიპოვება
შემდეგი ცნობაც ჩეენი სტამბის შესახებ.

შეფეხ ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზს ისეთი შე-
გობრობა ჰქონიათ ერთმანერთან; რომ ლუკა კათალიკ

კოზს ვითომც მეფე ერეკლესთვის ეჩმიაძინის სტამბილამ ერთი კარვი სტანკი გამოეგზავნოს ფეშქაშათ. ცნობები მოგვითხრობს, რომ ვითომც დასაბეჭდს ქალალ დსაც მეფეს კათალიკოზი უგზავნიდა ეჩმიაძინიდამ. ამის შესახებ ჩვენში არაფერი ცნობებია დაშთენილი. გარდა ამის ცნობები გვაუწყებს, რომ სომეხთ კათალიკოზს ამსტერდამიდამ (პოლანდია) სხვა და სხვა ენების ლექსიკონები გამოეწეროს და ყველა ესენი მეფე ერეკლესთვის მიერთმიოს ფეშქაშათ. ეს თუ მართალია, მაშინ, ჩვენის ფიქრით, იგი 1785 წლებში უნდა ყოფილიყოს. ცნობა არს, რომ ესევე კათალიკოზი შუამდგომლობდა შახრიმიანთან მიწერ-მოწერაში, რომელიც მეფე ერეკლეს და მის შორის აღიძრა 1780 წლებში. ჩვენს ქართველთ სტამბის გამართების ისტორიაში არსად არის მოხსენებული ეს სომხური ცნობები, არმელთა სიმართლეში ჩვენ ეპვი გვაქვს.

სასიამოენო იქმნება, რომ ხსენებულ ხაქმეებთა შესახებ ცნობები ჰერკიბოს, ჰეშმარიტებით კითხვა გამოირკვეს.

აი, ეს გახლავთ ანგარიში და ისტორია ყველა იმ სტამბების, რაც კი 1625—1900 წლამდე საქართველოს და მის გარეშე ქვეყნებში დახსნილან და წიგნები უბეჭდავთ.

ზ. პ.

ხალხური ლექსები

(შეკრებილი სოსიერ მერკევილაძისაგან)

შევიყარენით მმობილნი,
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭამე
ვურჩევდი თათუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭამე
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმევდი
ვურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც
მიმყვანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ მივცემდი
შვილსა გაზღილსა სხეისასა.
ხელი მოპჰეია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
შესტრია საბრალო ქალმა:
„ვაი ცოლს ცუდის ყმისასა“.
მეც გულმა ვეღარ გამიძლო
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო
ელვასა გვანდა ცისასა,

მაგრამ დაუკლა მუხანათს,
ვენაცვალე მაღლსა ღვთისათა,
ახლა მე შემოუქნიე, —
ვედევე მაღლს ლაშრის ჯვრისასა,
გავჭერი ცხენი და კაცი
წვერიც მომიხვდა ქვიშასა.
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქრის ნათელის მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე, —
ის კი იქა სკამს ქვიშასა.

დავით გიორგელის შველო
თავაღო ახმეტისაო.
ვინ მოგცა მებალახობა ფართი
ყუდროსი, ბოჭორმისაო, და კაცი
ერიდე ფშაველ ხუმარას
არის შენი ქვეყნისაო,
იმისი ხმალი რეინისა
როგორ თოვლს ისრე სკრისაო.
ხუმარამ დაეითი მოკლა
მცარცვავი ფშაველთ ცხერისაო.
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც სისხლი გვასვა მტრისაო
რას გეშინიან ხე შარავ
რა სხვა-სხვა ფერი გდისაო,
არა გვშურს თითო მანეთი
თითოს თიკანი თხისაო.

შეგირცხევა აქიმი შვილო
ომში გაწირული ჩოხანი,
ვინც მოკვდა ღმერთმა აცხონა
შენ რათ მოხვედი ცოცხალი?

წითელ ღერინოს ლოყა გიგავს
ჰიქაშია მოელვაზეს;
სასუფეველი რათ უნდა
მაგ შენს მკლავზე მწოლიარეს.

საწყალსა კაცსა ვინ მისუემს,
ალების ლამეს ლეინოსა,
მეტალი ჭამოს და წყალი სეას
დაწვეს და დაიძინოსა.

მცხეთას მამალმი იყივლა, ამ
ავჭალასა ვარიამა,
რა კარგი გოგო დამდგარა
ჩვენებიანთ მარიამა,
რო შავხედე მის წიგნ კითხვის,
გამეხირდა, გუჯს რამა.

ახმეტასა და უტოსა
წყალი ჩამოდის ორვილი
ზამთრის და ზაფხულ მუდმისად
მთები აქეს ჩამოთველილია

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

- ომში რა სჯობიაო და რაც ხელში მოგწვდესო.
—ჭინჭრაქას ახელ-დახელე, და პოზანი (ბარკალი) ისე
აირთვიო.
—მომჩერები მომჩერე არ დაილევაო.
—ურიას ღორი ემძიმებოდა და გოჭიც ზედ შაუ-
დვებო.
—ჭიანი კბილი კაკალს ვერ გატეხსო.
—კარგ მშოვებელს კარგი შემნახავი სჯობიაო.
—მწიფეს ესვროდნენ და მკუხუ ცვიოდაო.
—თავ ზეით ძალა არა მაქვსო.
—ყველა ჭაში რომ ჩაჟურუთხო, რომელი წყალი
უნდა დალიო.
—ქაჩალი კიდევ მივა მექუდესთანაო.
—ნუ აფურთხებ წყაროში, თორემ კიდევ მოგწყურ-
დებაო.
—საღამოსას ღორის შარი სჯობიაო.
—ქათმის მომჩინეანს ინდოური კალათში უნ და გყავ-
დესო.
—ძალლმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.
—ქორს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უყუ-
რებდაო.

— ეირი ქორწილში დაპატიჟეს და წყალი კი მაინც
იმას აზიდვინებო.

— თივა და ცეცხლი ერთად არ დაიდებათ.

— წამწყმიდა წახედულობამ.

— უცებ მოსულ მტერს იმითი დახვდებიან, რითაც
შეხვდებიანო.

— უპატრონო ეკულესიას ეშმაკები დაესიაო.

— უბრალო ტირილი მკვდარს ფეხს გააქაერინებსო.

— კაცმა კაცის დარღი არ იცოდა და შუალამისას
ნანას ეუბნებოდათ.

— კაცი გულით ხარობს, ცეცხლი კი უგულოთო.

— ცოცხალი რომ არ გიყვარდი, მკვდარს რაღას
შემეფარები.

— ახლოსა ხარ წვერებს მგლეჯავ, გამშორდები რა
იქმნები.

ზ გ ა

ადებია — მიღებია გადას იუსტინი
ნახე იმას რა აბია! მცირებული არ
მოეა ბია მოამბია
რაც შენ გინდა ის აბია, სულ იუსტინი
სულ იმაზე აღძრულია თათარი და არაბია.

5 8255
1899

1900

۳۶۸

۱۳۵۳۰

ତୃତୀୟାଂଶୁ

“ପ୍ରକାଶନ ମଧ୍ୟରେ”

(წელიწადი მესამე)

გამოვა დავვ პროგრამით და იმავე პირობებით,
როგორც 1899 წ.; ე. ი. გარდა საქუთარის ნა-
წერებისა დაიბეჭდება სხვების ნაწერებიც.

၁၁၆၀ ပိဋကတ် ဇာန်မီဒား

კავკაციის 7 მან., გუგურენელად — 6 მან., ნახევარის ჭლით — 4 მან., თვიურად და კერძო ჩ. რი 60 კაპ.

უკურის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის-მ ოწერისას 3 მან., პირველ მარტს 2 მან. და პირველ მაისს 2 მან.

ନେତ୍ରବ୍ୟକ୍ତିର ନମ୍ବରଟ୍ୟାବଳୀ ଓ ଉପରିଲ୍ଲାପଣାରେ

ადრესი: დ. უკრონლა „ქურებულის“ რედაქცია. და
ტელევიზია „წერა-კითხვების საწოდოაღმება“.

რედაქტორი მოიპოვება სრულად 1899 წლის კერძოდ „ბულონ“-ს. წიგნები, გაზავნით 7 მარცად, ხოლო ასალ ხელის მომწერთ დაეთმობათ 6 მარცად.

“კონებული”-ს რელაქტორი და გამომც. აკად.